975
1999

# ბურჯი ეროვნებისა



12
1999

ბესარიონ
ჟორჟენაძის
საზოგადოების
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
კახა გაბუნია

პასუხისმგებელი მდივანი
ჭაბუკა ქირია

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

კონსულტანტი
იოსებ ჭუმბურიძე

რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
ქვანტალიანი,
მარინე კოკოჩაშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი აგალიანი

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ლეინჯილია,
ინგა ლუტიძე,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯღირბენაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ნინო ჭუმბურიძე

რეგისტრირებულია ქ. თბილისის
მთაწმინდის რაიონის სასამართლოს
მიერ 12.04.99. № 4/9-88.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

# „დედა ენა“

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი,
ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი,
მგალობელი ფრინველი.

იავნანის ნიავში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი მაისმა.

ტკბილად რომ გაგვიხარა
ჩვენ ბავშვობა ბეჩავი -
შავი კაბით გაზრდილებს,
გასუნებულ ლეჩაქით.

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული!

975
1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№ 12 (24)

1999



*უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.*

**იაკობი**

გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

## შინაარსი

**გ. ლეონიძე – 100**

**ბ. ჯორბენაძე** - მუხლადი სიტყვა გიორგი ლეონიძისა ........ 2
გიორგი ლეონიძე გიორგი ლეონიძეზე ........ 6
გიორგი ლეონიძის ერთი პირადი წერილი ........ 8
**ე. კოშორიძე** - გიორგი ლეონიძის სტუმრობა ........ 9
**ლ. იორდანიშვილი** - სემინარიელნი: გიორგი ლეონიძე და სოლომონ იორდანიშვილი ........ 10

**ადიდებს სული ჩემი უფალსა**

ჯვრისწერის თაობაზე ........ 14

**ჩვენი სკოლა**

**მ. კარტოზია** - ღმერთმა გისმინოთ, ბატონო პრეზიდენტო ........ 15

**ჩვენი ენა ქართული**

**სწორია:** ........ 5, 7, 18, 21

**ჩვენი ენის მოჭირნახულენი**

**თ. ჭუმბურიძე** - იულიუს ასფალგი - 80 ........ 16

**ო, ენავ ჩემო!...**

ფრთხილად, კანონი რეკლამის შესახებ ამოქმედდა ........ 18

**რეცენზია**

**ქ. რეხვიაშვილი** - ახალი სიტყვა ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების საქმეში ........ 19

**ეტლთათუის**

მშვლდოსანი ........ 22

**გამოთხოვება**

**გ. თოფურია** - ზაპიდათ მაპომედბეკოვა ........ 23

**მოვუსმინოთ პატარებს**

წუთისოფელი რა არი... ........ 24

**ინფორმაცია** ........ 24

21429

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

27 დეკემბერს შესრულდა 100 წელი გიორგი ლეონიძის დაბადებიდან. ჟურნალის წინამდებარე ნომერი ჩვენი მოკრძალებული მადლობაა უდიდესი ქართველი მოღვაწისადმი.

ამ ნომერში დავასრულეთ ბ. ჯორბენაძის ნარკვევის ფრაგმენტების ბეჭვდა.



## ბესარიონ ჯორბენაძე

# მუხლადი სიტყვა გიორგი ლეონიძისა

პოეზიის ქმნის მარადიული კითხვა:

„საიდან მოდის სილამაზე?"

კითხვა, რომელსაც თვით გ. ლეონიძე უსვამს თავის თავს.

სწორედ სილამაზის, მშვენიერების ძიებით იწყება პოეზია.

ეს მშვენიერება ისევ და ისევ ადამიანის სულში იბადება, ადამიანის უნარში - ხედვის თვალით დაინახოს გარესამყარო.

პოეტი სწორედ ამ თვალს აუხელს ხოლმე სხვებს.

ამისთვისაა იგი მოწოდებული.

ამას ესწრაფვის და ესწრაფოდა ხალხური სიბრძნე.

რადგან ხალხი, ქვეყნის ქმნის იმას წარმოაჩენს ხოლმე, რაც ლამაზია ადამიანში.

ადამიანი კი სამყარომ თავისი თავის შესაცნობად შექმნა.

ეს შეცნობა ორი გზით მიდის: ლოგიკური გააზრებით და პოეტური შეგრძნებით.

მეცნიერება მოწოდებულია სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნისათვის, სამყაროს გონით ორგანიზებისათვის.

პოეზია კი თავისებურ სიმბოლოებში მოაქცევს ხოლმე არსებულს, რომ ამით მის ესთეტიკურ ღირებულებასა და შინაგან საზრისზე მიგვანიშნოს.

პოეზია სილამაზის პოვნაა წვრილმანებში, ყოველდღიურში.

პეიზაჟში თავისთავად არსებული სიცოცხლე არც ლამაზია და არც უშნოა. ესთეტიკური გაგება მწერალს, შემოქმედს შემოაქვს.

ამიტომაც შემოქმედის ესთეტიკური პოზიცია არსებითი ღირებულების მქონეა.

ეს პოზიცია კი არა მხოლოდ სათქმელის აზრით, არამედ სათქმელის ფორმითაც ვლინდება.

მეტიც: ერთი და იგივე აზრი შესაძლოა მეცნიერულ განმარტებაშიც მოხვდეს და პოეტურ ფრაზაშიც.

სხვაობას მხოლოდ გამოხატვის ფორმა წარმოგვიჩენს.

ამის გამოა, რომ პოეტური ფორმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ესა თუ ის აზრი სწორედ შესაბამისი პოეტური ფორმის წყალობით იქცევა ხოლმე პოეზიის კუთვნილებად.

ლექსის ფორმა ბევრ კომპონენტს მოიცავს: მარცვალთა რაოდენობა, რიტმი, რითმა...

ყოველივე ამის წარმოჩენა, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა ლექსმცოდნეობისა, მაგრამ წმინდა ფორმობრივი ანალიზი ვერასდროს გვეტყვის, რატომაა ერთი და იმავე ავტორის მქონე ნაწარმოებიდან ერთი - ესთეტიკურად ძლიერი, მეორე კი - უფერული.

ამიტომაცაა აუცილებელი ლექსის ესთეტიკური ანალიზიც.

არსებითია არა მხოლოდ ის, თუ რა ვთქვით, არამედ ისიც, თუ რატომ და როგორ არის ყველაფერი ეს ხორცშესხმული, გაცოცხლებული პოეტურ თქმაში.

გიორგი ლეონიძის პოეზია არ გამოირჩევა ფორმობრივი მრავალფეროვნებით.

ემოციური ზემოქმედება ძირითადად ფუნქციურ მხარეს აქვს დაკისრებული.

* * *

გიორგი ლეონიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლექსის ჟღერადობას. ეს კი განაპირობებს ალიტერაციის საფუძველზე შეწყობილ სტროფების სიუხვეს მის პოეზიაში:

„ჯვარისწერაში ჯვარსა ხუთდა თეთრი თაისი,

ჯიბმა ჯურანს შეადარა გულთა მკრთალი..."

ან:

„ხარ ნატახტარი, ტახტებაშვე ხარ ატანილი,

არწივის ჯიშო! გატეხილი მომტებისთვის".

ანდა:

„ცეცხლე ცვარი ცოური".

ასევე:

„მესხი ვარ! ვანთე მე ხსივი,
მესხმა შესხმა ვთქვი ახალი,
მტერი დამესხა, დავძლიე,
ვიყავი სახელდადები.
მესხმა დავასხი ქებანი,
ძლევებში ვაშენე ტაძარი..."

ან თუნდაც:

„ქარი სტამბოლის მიდიოდა,
ქალაქების ქარი..."

ასე რომ, ალიტერაცია უხვადაა ნაირფეროვნებით არის წარმოდგენილი გ. ლეონიძისეულ სტროფებში.

ზოგიერთ პოეტი ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმასაც იყენებს ალიტერაციისათვის:

„შენ დამიმწიფე სიტყვები,

დასასრული. დასაწყისი
იხ. „ბ.ე." №9-11

ვით ხეს გასული მტევნები,
შენი, შენდამი, შენს შუქთა,
შენს ციმციმით მისადევნები..."

ანდა: „შავი კამეჩი შავად დამწვარი..."

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ალიტერაცია მიღწეულია ერთი და იმავე ფორმანტის გამეორებით:

„ჩვენი სამშობლოს ველები,
მდელო, მინდორი, ბაღნარი,
ნათერქალია, ნარბევი,
ნათქერი, ნაფეხალარი..."

ფრაზის მუსიკალობა, რიტმის დინამიურობა, რითმათა ელვარება, არსებითი კომპონენტებია გ. ლეონიძის პოეტური სიტყვისა.

უფრო გამოკვეთილად ეს მის ადრინდელ ლექსებში იგრძნობა.

სწრაფი ინტონაციური ცვლილებანი, გარითმვის ნაირგვარ სახეობათა გამოყენება, ალიტერაციების, მეტაფორების, შედარებების სიუხვე, ჩვეული სიტყვათშეხამებანი მთლიანობაში იძლევიან პოეტური მშვენიერით აღბეჭდილ სტრიქონებს.

აი, ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში ამისა:

„ველანდება ნაცახები
და გრილალი დამცახები
მწარედ ავათრთოლებს,
ცის ჯანღების აჯანყებით,
სეტყვას, მბრწყინავ თოვლებს,
დამდნარ ძვლებით ვებები,
მარტოხელი ოლე!
ზღვიდან ქარი წამოვიდა
და ღრუბელი ბუნდრად,
ცაში ელვა შეიკლაკნა,
შენკე შემობრუნდა.
ქარის ფშვენს,
მეხის ბრუშის
შენი მოიხრა უნდათ!"

* * *

გიორგი ლეონიძე ხშირად მიმართავს შედარებას.

შედარება ერთ-ერთი საშუალებაა მთელი თავისი ნაირსახეობებით წარმოჩნდეს საგანი, მის გარეშე არსებულ საგანთა საშუალებით განისაზღვროს მისი არსი.

მხატვრული შედარება, რომელსაც შემოქმედებით რიგლი ასოციაციები უდევს საფუძვლად, ხელოვნებრივ-პოეტური ლოგიკის პრინციპით აკავშირებს ერთმანეთთან რეალურად დაუკავშირებელ საგნებსა და მოვლენებს.

ბუნების მოვლენებში, ყოფით დეტალებში, ყოველდღიურობაში გ. ლეონიძე პოულობს პოეტური შთაგონების წყაროს და ყველაფერ ამას პოეზიის კუთვნილებად აქცევს:

„ცას ვარსკვლავი ანათებდა ვით კამეჩის თვალი".

„დაჭრილ ხევსურის თავივით



მთვარე მოებს გადმოეკიდნოა".

„შენი ტუჩებიც ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას".

„როგორც სარკეზე ქვაბს იხშივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები".

„გადაიხედე, შენი მთები, თითქოს ვეფხვი დაკრილანი"...

მოუხედავად ფერადების მრავალნაირობისა, პოეტი ერთფეროვნებასა და მონოტონურობას ვერ ასცდებოდა, თუით შედარების ფორმობრივი გამოხატულების ნაირგვარ ხერხებს რომ არ მიმართავდეს.

ხშირად ასეთი შედარება მეტაფორაში გადადის.

ასეთია, მაგალითად, ის შემთხვევები, როცა გამოტოვებულია შედარების გამომხატველი სიტყვა ან მორფემა:

„მთვარე გომბორზე წაიქცა -
რძით გავსებული ტაგანი..."

და არა: „როგორც ტაგანი" ან „ტაგანივით".

შედარების ეს ხერხი, სავსებით დასაშვები თვით ენის შინაგანი ბუნებით, უმეტეს წილ პოეტურ მეტყველებაში გვხვდება და შინაგანი დინამიზმით, ემოციური სიღრმით გამოირჩევა.

უფრო გართულებულია ეს პრინციპი ასეთ გამოთქმაში:

„შორს ალავერდის გედი მისცურავს..."

და არა: „გედივით მისცურავს".

ზოგჯერ კი შედარება ღრმა ასოციაციური ხილვების სახითაა მოცემული:

„ეს თოვლია თუ მიმინომ
დააფეთა მტრედები..."

* * *

გიორგი ლეონიძის პოეტური ენისათვის საცნაურია კონტრასტების სიხშირეც:

„პატარა ქვაო პატარძეულში,
რა დიდი სუნთქვის ხარ შემნახველი..."

ან: „არ უყვარდა მაღალსამტვრევი სიტყვები და ფეხმოკლე აზრი"...

კონტრასტი დაპირისპირებაა.

უკეთ: შედარება დაპირისპირების საფუძველზე.

გ. ლეონიძე ერთობლივ იყენებს ხოლმე შედარებებს მსგავსებისა და დაპირისპირების მიხედვით:

„შენ ძირს დაგცეს ფოთოლივით
და მთასავით წამოდექ!..."

ან: „ფუფალამ ქორივით გადახედა ბაბალეს, რომელიც მის თვალთახედვის ქვეშ მწყერივით გაინაბა".

ამ საშუალებას გ. ლეონიძე განსაკუთრებული უშურველობით მიმართავს პროზაში, ხასიათისა თუ პორტრეტის ძერწვისას:

„პატარძალი - გაცინებული მთისა: ლალი და ბროლი! გადადღაბნებული სახე, ჩაბნელებული თვალები..."

* * *

არის ისეთი მხატვრული სახეები, რომელთა შექმნის შესაძლებლობას თვით ენა იძლევა.

ასეთი პოეტური სახეები ენის შინაგანი შესაძლებლობითაა შეპირობებული და მათი სხვა ენაზე გადმოცემა თითქმის შეუძლებელი ხდება; ის, რაც ორგანულია ერთი ენისათვის და, ამდენად მხატვრულ სახეს ბუნებ-

რივად წარმოქმნის, სხვა ენაში მხოლოდ აღწერითად, მიმსგავსებით გამოიხატება: შინაარსს გადმოსცემს, მაგრამ ფორმას კარგავს.

ქართულ ენას უხვად მოეპოვება პოეტური ხატების შესაქმნელად მისივე ბუნებიდან მომდინარე შესაძლებლობანი და გ. ლეონიძეც მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში ორიგინალურად იყენებს მათ:

„საზანდარმა ღამე ააცახცახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა - ატმებით მსხმოიარე, ნახნახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა..."

ან: „თვალნათლიანი, კაშკაშა, ბაირაღის ფარჩასავით მხიარული თათია..."

ანდა: „წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე..."

* * *

გ. ლეონიძის შემოქმედებაში ჭარბად იგრძნობა ხალხური ინტონაციები.

ეს არაა ხალხური მოტივების უშუალოდ გადმოღება.

აქ სწორედ ინტონაციური მსგავსება იგულისხმება.

ბევრი რამ მოგვაგონებს მის პოეზიაში თავისი სულისკვეთებით კახურ „მრავალჟამიერსა" და „ჩაკრულოს", ომახიანს „ქართველო, ხელი ხმალს იკარ" და სალხინოს „მასპინძელო მადლიანო".

ამ სულისკვეთებითაა ნაკვები ეს სტრიქონები:

„რასა ყვირიან ირმები
ყორან-მთას, ყარაიასა?
სახუნდარიდან მარეკი
გულში გაატრიალს ტყვიასა..."

ეს სულისკვეთება ასაზრდოებს ამ პოეტურ დანაკვესაც:

„მთაზე ირემი კვდებოდა...
ბრუნავდა, რქაზე დგებოდა,
ხარბად პხედავდა ხეობებს,
სიცოცხლე დაჰმარცხებოდა...
ირმის ყვირილის ნახმევი
ხეობებს ეხეთქებოდა..."

ან თუნდაც:

„სათათრეთს გადავვარდები,
დამკვრელად ვივლი თარისა,
ჩოხა წვიმისა მეცმევა
და ყაბალახი მთვარისა..."

გ. ლეონიძისეული ბევრი პოეტური თქმა ხომ უშუალოდ ხალხური ხატოვანი მეტყველებიდან იღებს სათავეს:

„შენ დამარწყე, იორო,
მანქანე თავზე მირონი;
დალაგდნენ ლექსის ჯიქნებად
ეგ შენი სანაპირონი..."

ან

„ცისფერ ჩქერებში ეხახუნება
ქონიან მკერდით ქვას ორაგული..."

ანდა:

„არა გჭირდება მკლავში ქადური,
კახური დევო, შეუდარდევიანო..."

ან თუნდაც: „სიკვდილს დავლონებივართ, მაინც წუთისოფელს ვესურვილებით"...

ასევე:

„თამადამ სიტყვა ჩასო მარგალიტში",
"მტრის სისხლი იკბინება დღესაც",
„რა მოსალხენარი კაცი იყო, რა მომღერალი, ვერც კი ეტეოდა გრძელ კახურ მრავალჟამიერში".

და სხვანიც, მრავალი, ჩამოსათვლელი თუ საგანგებოდ აღსანიშნი.

ეს ინტონაციური ნაკადი განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა გ. ლეონიძე ქართული სოფლის რეალიებს მიმართავს.

მისთვის, საერთოდ, ნიშანდობლივია ეთნოგრაფიული დეტალების უხვი მოშველიება, რასაც ძალაუნებურად მრავალი ყოფითი ტერმინის შემოტანა სდევს თან.

ამის წყალობით ბევრი სიტყვა გახმიანდა გ. ლეონიძის თხზულებებში ახლებური სიხალისითა და ელვარებით, ბევრს ჩამოსცილდა დავიწყების ფერფლი.

* * *

გულუხვი, მაძღარი სალებავებით ხატავს გ. ლეონიძე ადამიანებსაც და საგნებსაც.

ეს მონაკვეთები განსაკუთრებით საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისითაც.

საცნაურია ერთი და იმავე მოვლენის მრავალფეროვანი, ნაირსახოვანი საშუალებებით გამოხატვა, ლამის ამოუწურავი ფერების, ერთმანეთის დამაზუსტებელი სინონიმების სიჭარბე:

„მარწყვისფერად, შინდისფერად იღებება გარიჟრაჟი";

„მკვეთრად ჩამრჩა მეხსიერებაში ღვინჯუა. მაღალი, დათვურად ნაკვეთი, მკერდჯაგრიანი, მსხვილად დაგრეხილი ულვაშები... ბარაქიანი ცხვირი... სუფთა, სათნო, ძალოვანი, გულოვანი, ღონით ძლიერი.."

არსებითად ერთი აზრის მქონე ეპითეტები ზედმიწევნით ასხვავებენ უფაქიზეს სემანტიკურ ნიუანსებს, ერთმანეთს ავსებენ, აზუსტებენ და მთლიანობაში წარმოსახავენ განუმეორებლად კოლორიტულ ხატებს.

* * *

პერსონაჟის დახასიათება თავისივე მეტყველების საშუალებით ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული მხატვრული ხერხია.

გ. ლეონიძეც ხშირად მიმართავს მას, უპირატესად პროზაულ თხზულებებში.

ალერსიანი, სიკეთით დაბრძენებული დედა მაიკო:

„დილის სხივს აპყევ, ბიჭო! თორემ ცხოვრება გაგიძნელდება! მზის ჭიატი გწამდეს ყველაზე მეტად და ბედნიერი იქნები!"

ასკეტური სიმკაცრით გამორჩეული, სოფლის პატრონობაზე თავგამოდებული ცოციკორე:

„გაიგონე, რა გითხრა: საქართველოს ცხრა კარი აბია! ეს დაიხსომე კარგად! თითოეული კარის ყარაულად უნდა გამოდგე!"

ანარქისტი, მუდამ ბობოქარი იორამი:

„ეგრე, ეგრე, შეაზვინე ზვირთი! მძულს მღორე და გუბე!

შუბლზე მტერს გული! ქება ნაუმტვრიე! გაწმინდე შორი, გაასუფთავე ჰაერი! ვაშ, სიცოცხლის ხენი ტრიალებს!"

მეომრების ხასიათობრივი სხვაობა მთლიანად შინაგანი თავისებურებითაა შეპირობებული. გარეგნულად აქ რაიმე გამომრჩევი ნიშნები არა გვაქვს.

და ესეც ნიშანდობლივია გ. ლეონიძისათვის.

სხვადასხვა ხასიათის წარმოჩენა მთლიანად აზრობრივ მიმართებაა გადატანილი. გარეგნულად მსგავს მოვლენებში ღრმა შინაგანი სხვაობა იფარება.

გიორგი ლეონიძეს სწორედ ამის გამოვლენა დაუსახავს მიზნად.

* * *

ზემოთ უკვე ითქვა, რომ მოვლენათა წარმოსახვა თავისავე დინამიზმში ნიშანდობლივი თვისებაა გ. ლეონიძის პოეტური ხელწერისათვის.

ეს პრინციპი მას ხშირად აქვს გამოყენებული ტიპაჟის ძერწვის დროს:

„ტბავის ფეშტემალაფარებული ულაში კალატოზი ყოფილა, ხელ მოვრალი, კედელს რომ ამოიყვანდა, უფროვ ზემოდან ჩამოსძახებდა: „მეკავთი" და, მართლაც, ნავაგლახევი კედელი ან პირდაპირ წამოვიდოდა, ან გვერდზე გადმოიწგრეოდა".

ახლა - ხასიათების მთელი გალერეა:

„კალატოზის გვერდით იდგა შავხევალიანი, მეშტრის აფთიალასაკარგული, გაკოტრებული მეწვრილმანე ჩანჩეხა, რომელიც ხშირად შეურვებით ამოიგმინებდა: ავაიმე, გავკოტრდით!

ქვემოთ - სოფლის დალაქი, თავბერა, მიკვირია კაცი, რომელზედაც სოფელში იტყოდნენ: ეშმაკები რომ ჯოჯოხეთში შილაფლავს ხარშავდნენ, პილპილი მაგის მოურილიაო!

კიდევ ქვემორე: ქოთილის მოწადე, მოხათრე, ყველას შემწყნარებელი, თავანკარა კაცი - გუთნისდედა თარიმანი.

მეზვრე ჯიმშიტა - ძვირუხსნებელი.

ბერდიკო - კარგი მეკვლავი, მთიბავი.

ღრეული - ყანის მესვეური, ფაქიზი კაცი, ბედდოვლათიანი..."

მსგავსი ნიმუშების სიმცირეს გ. ლეონიძის შემოქმედებაში ვერ დავიჩივლებთ.

* * *

გიორგი ლეონიძის პოეზია იმ ომახიან, მკვეხარ სიმღერებსა ჰგავს, ბრძოლაში რომ უძღოდა წინ მტრის დასათრგუნავად აბორგებულ ქართველთა მხედრიონს.

ამ სიმღერას მშობელი ერის სიყვარული და მტრის სიძულვილი ასაზრდოებს, ქართული სიტყვის მირონითაა იგი განათლებული და ჭეშმარიტი პოეტური შთაგონებით უკვდავყოფილი:

„ჩამოხმჭკნებიან ეს ყვავილები,
ეს ჯამ-ჯიხვები დაიცლებიან,
დაეცემიან მიწაში ირმები,
გულს სურვილები გაეცლებიან,
ალაზნის ვაზებს დასცვივათ ოქრო,
დადნება, რაც მიწას დაპყვრცხლებიათ.
ვინ იკადრებს?
უკვდავების დღეს
მხოლოდ ლექსები დაესწრებიან!..."



# სწორია: ლირიკული, პათეტიკური, ესთეტიკური

ქართულში საკმაო რაოდენობით გვაქვს უცხო ენებიდან შემოსული ზედსართავი სახელები, რომელთა გადმოტანისას შემუშავებულია რამდენიმე ძირითადი წესი:

1) აუცილებელია უცხო ენებიდან ნასესხები ზედსართავი სახელების გაფორმება საკუთრივ ქართული დაბოლოებებით. უმეტესად ეს არის - **ურ** სუფიქსი, რომელიც ფონეტიკური პროცესების შედეგად (თუ სიტყვაში კიდევ ერთი **რ** ბგერაა) -**ულ** დაბოლოებად შეიძლება გადაიქცეს.

2) ზედსართავი სახელის მაწარმოებელი ქართული სუფიქსი ემატება სახელის ფუძეს ანუ სიტყვას ბრუნვის ნიშნის გარეშე: **ფუნდამენტი - ფუნდამენტური, ტონი-ტონური; ა-** ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებში, რომელთაც აქვთ ტენდენცია ბრუნვისას ბოლოკიდური ბგერის მოკვეცისა, ეს ბოლოკიდური ხმოვანი იკარგება - ურ სუფიქსის დართვისასაც: **ამბიცია-ამბიციის და ამბიციური, პროვინცია-პროვინციის და პროვინციული;** მაგრამ ხშირად ამ მეორე წესს არ იცავენ; ეს უმეტესად „იკა" დაბოლოებიან უცხოურ სიტყვებთან ხდება. ისევე როგორც ა ხმოვნით დამთავრებულ სხვა სახელებში, ამ ტიპის ფორმებშიც -ურ სუფიქსის დართვისას იკარგება მხოლოდ ბოლოკიდური ა ბგერა: **ლირიკა-ლირიკული, პათეტიკა-პათეტიკური** და ა.შ. მაგრამ ძალიან ხშირად ა ხმოვანთან ერთად სიტყვას ჩამოაშორებენ კ ბგერასაც და შეცდომით ამბობენ: ლირიული, პათეტიური, ესთეტიური და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის ფორმებში ქართული ენისთვის დამახასიათებელი პროცესების შედეგად იკარგება მხოლოდ ა ბგერა, კ თანხმოვანი კი რჩება. ამიტომაც **სწორია** ფორმები: **ლირიკა** და აქედან მომდინარე **ლირიკული; პათეტიკა** და აქედან მომდინარე, **პათეტიკური; ესთეტიკა** და აქედან მომდინარე **ესთეტიკური** და ა.შ.

რუბრიკას უძღვება
ნინო ჟორჟოლიანი

# გიორგი ლეონიძე გიორგი ლეონიძეზე

**ნომრის სტუმარია საქტელერადიო მაუწყებლობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ლეონიძე.**



**- ბატონო გიორგი, ბავშვი საკუთარ თავს უფრო ადრე შეიცნობს ხოლმე - ამდენად თქვენს გიორგი ლეონიძეობას უფრო ადრე გაიაზრებდით, მაგრამ უფროსი გიორგი ლეონიძეც ხომ არსებობდა, როდის და როგორ გაიგეთ ეს. ერთი სიტყვით, როდის შემოვიდა თქვენს ცნობიერებაში უფროსი გიორგი ლეონიძე, როგორც თქვენი საამაყო პაპა და ყველა ქართველისათვის სათაყვანო პოეტი.**

- დღესაც ზარივით ჩამესმის ყურში მაშინდელი ბუხუნა ხმა ღვივით კაცისა ჩემზე: „ეს ნამდვილი ლეონიძეა“... თუმცა, მთქმელი ამისა ვინ იყო, რასაკვირველია, მაშინ რამდენიმე წლისას, გაცნობიერებული არ მქონდა. მერე და მერე უამრავი სურათის წყალობით, შემდეგ კი მოგონებებითა და პოეზიით ("ვლეწე ტაძრები „ქლაპტრიანი“) შემოიჭრა და სევდიანი ფიქრებით მეხსიერებაში ჩამრჩა.

**- რას ნიშნავს, რა არის თქვენთვის გიორგი ლეონიძეობა - წინაპართან სრული სეხნიობა (ვგულისხმობ, სახელი, მამის სახელი, გვარი), სეხნიობა დიდი პაპისა - პასუხისმგებლობა, მოვალეობა, სიამაყის საგანი, საპატიო ტვირთი თუ ყველა ეს ერთად.**

- როცა მომმართავენ (განსაკუთრებით სახელითა და გვარით), ყოველთვის (რაც უფრო დრო გადის, მით უმეტეს) მბურძგლავს, „მელანდება ნაჯახები და გრიგალი დამჯახები, მწვავედ ამათრთოლებს“.

**- ქვეყანაში, სადაც, ერთი უცხოელის თქმისა არ იყოს, „ყველა ქართველი პოეტია და ყველა პოეტი - ორჯერ პოეტი“, ძნელია გიორგი ლეონიძეობა?**

- თუ ერთხელაც არ ხარ პოეტი, მარტო გიორგი ლეონიძეობა დიდად არაფერს ნიშნავს.

**- რა გაკავშირებთ პატარძეულთან, გარდა იმისა, რომ აქ იყო ფუძე ნიკო ლეონიძისა, თქვენი დიდი პაპისა?**

- სტუდენტობისას მე და მამაჩემი სახლს ვაშენებდით, რამდენიმე წელიწადი ვაშენეთ, მაგრამ დღემდე დაუმთავრებელია, სამაგიეროდ, იქ გატარებული დღეები ჩემს წინაპრებთან დაახლოების ნეტარი დღეები იყო.

**- „ლეონიძე, ამ დღეებს უდარაჯე!..“ როგორ გესმით, რა განცდას იწვევს თქვენში თქვენი დიდი წინაპრის ეს მოწოდება.**

- „...შენ თუ გაძლებ, შენი სიტყვის იმედით“, ანუ თუ მე გავძლებ ჩემი საქმითა და კაცობით, უბედნიერესი ვიქნები...

**- მიხეილ ჯავახიშვილს გიორგი ლეონიძისათვის წიგნი უჩუქებია ასეთი წარწერით: „გიორგი ლეონიძეს - ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლულ პოეტს“. შემოქმედისათვის თანამოკალმისაგან ასეთი შეფასება, დამეთანხმებით, ბედნიერებაა. რა შეიძლებოდა დამატებოდა მ. ჯავახიშვილისეულ დახასიათებას?**

- მხოლოდ ის სურვილი, რომ ყოველ ქართველს მ. ჯავახიშვილის სიტყვების მსგავსად ასეთი შეფასება დაემსახურებინოს.

**- გიორგი ლეონიძემ პირველი წიგნი ძალიან გვიან გამოსცა, იმიტომ კი არა, რომ არ ეკუთვნოდა, ან არ შეეძლო გამოეცა, არა, ეტყობა, თავისი თავისათვის ვერ მოიცალა.**

**ლატვიური ენისა და ლიტერატურის ცნობილი სპეციალისტი, მთარგმნელი უშანგ სახლთხუციშვილი იხსენებს, როგორი გატაცებით ლაპარაკობდნენ ლატვიელი პოეტები გიორგი ლეონიძეზე, როცა ისინი საქართველოში იმყოფებოდნენ საქმიანი ვიზიტით - ქართული პოეზიის ნიმუშების სათარგმნელად. გიორგი ლეონიძე, მაშინდელი მწერალთა კავშირის მდივანი, თურმე მათ სისტემატურად სხვათა და სხვათა პოე-**

ტურ ნაწარმოებებს ურჩევდა და სთავაზობდა სათარგმნელად, რაც მიაჩნდა აუცილებლად ჩვენი მწერლობის უკეთ წარმოსაჩენად და არასოდეს დასცდენია, იმისი ერთი ლექსი მაინც ეთარგმნათ. ეტყობა, ასეთ შემთხვევებშიაც ვერა „პატრონობდა“ თავის თავს.

1962-63 წლებში გამოქვეყნდა გიორგი ლეონიძის თხზულებათა პირველი და მეორე ტომები. უნდა გამოეცათ ექვსტომეული. სამწუხაროდ, ეს გამოცემა შეწყდა. არა გვაქვს გიორგი ლეონიძის ნაწარმოებთა რამდენადმე სრული კრებული. ეტყობა, ჩვენც ვერ მოვიცალეთ მისთვის. რა შეგიძლიათ გვითხრათ იმის თაობაზე?

და საერთოდ, ივარაუდება თუ არა გიორგი ლეონიძის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა?



- სამწუხარო უფრო ის არის, რომ უკანასკნელ ხანს ჩვენ „ვეღარ ვჭიმავთ მისი ლექსების აფრებს“, იშვიათად ვხვდებით მის წიგნს მაღაზიის თაროებზე, რაც ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ „მის სადღეგრძელოს ვეღარ ვსვამთ ქაფქაფა საწნახელიდან“.

**- „ნატვრის ხის“ ერთ-ერთ ნოველაში გიორგი ლეონიძე წერს: „ო, როგორ მიყვარს მუხლადი, მებადური, მაძღარი სიტყვა“. როცა ამ ფრაზას ისმენთ, უპირველესად მისი რომელი ლექსი (თუ ლექსები) გახსენდებათ?**

- მისი მთელი პოეზია „ნატვრის ხის“ ჩათვლით.

**- მოახლოვდა მესამე ათასწლეული. როგორ ხედავთ გიორგი ლეონიძის პოეზიას მომავალ საუკუნეში?**

- მარტო მომავალ საუკუნეში კი არა, არამედ სრულიად უეჭველად კიდევ ბევრ „ათას წელს გასძლებს მისი მშვენება“.



# სწორია: ვდგავარ, ვგავარ...

ქართულში ზმნები, ანუ მოქმედების და მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები, პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: I ჯგუფში შევლენ ის ფორმები, რომლებიც არ საჭიროებენ მეშველი ზმნის დართვას არცერთ პირში: ვაკეთებ, ვწერ, ვსწავლობ და სხვები;

II ჯგუფში კი ის ფორმები აღმოჩნდებიან, რომლებიც ახლანდელ დროში I-სა და II პირში მეშველ ზმნას „ვარ“, „ხარ“ დაირთავენ. ამ ჯგუფში შევლენ სტატიკური შინაარსის მქონე ზმნები: ვწევარ, წევხარ; ვზივარ, ზიხარ; ვდგავარ, დგახარ; ვგავარ, ჰგავხარ და სხვები. მეშველ ზმნებს ეს ფორმები მრავლობით რიცხვშიც გამოიყენებენ: ვწევართ, წევხართ; ვდგავართ, დგახართ და ა.შ.

III პირის ფორმები მარტივია ორსავე რიცხვში: წევს, წვანან, ზის, სხედან; დგას, დგანან, ჰგავს, ჰგვანან და ა.შ.

ამ ტიპის ზმნებთან შეცდომები I სა - და II პირის ფორმებში მოგვდის; კონკრეტულად კი ა ხმოვნის შემცველ სიტყვებში. მათზე „ვარ“, „ხარ“ მეშველი ზმნების დართვისას თავს იჩენს ორი ა ბგერა და ჩნდება ტენდენცია პირველი მათგანის ე-ში გადასვლის. ასე გაჩნდა არასწორი ფორმები: ვდგევარ, დგეხარ; ვგევარ, ჰგევხარ; ვყევარ, ჰყევხარ; იმის გასარკვევად, თუ რომელი ხმოვანი - ა თუ ე უნდა გამოვიყენოთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, III პირის ფორმა დაგვეხმარება. **თუ III პირში ა ბგერა გვაქვს, I-სა და II პირშიც ა ხმოვანი გვექნება**. იგივე შეიძლება ითქვას ე ბგერაზეც. ასე რომ, **სწორია** ფორმები: **ვდგავარ, დგახარ; ვგავარ, ჰგავხარ; ვყავარ, ჰყავხარ,** რადგანაც III პირში გვაქვს: დგას, ჰგავს, ჰყავს; და ასევე **ვწევარ, წევხარ**, რადგანაც III პირის ფორმაა: **წევს**.

*რუბრიკას უძღვება*

ნინო ჟორჟანაძე

# გიორგი ლეონიძის ერთი პირადი წერილი

გიორგი ლეონიძის ხელით დაწერილი ყოველი სტრიქონი, მისი ცხოვრების ყველა დეტალი უთუოდ საინტერესო იქნება მკითხველისათვის. მჯერად გვინდა ერთი პირადი წერილი შემოგთავაზოთ:



*ძმაო სანდრო!*

*სალამი და გამარჯვება!*

*სხვა, რასა იქ შენი ოჯახითა, მამულითა და ვენახებითა? ხომ არ დაბერდი!*

*ვფიქრობ, რომ ჭაღარა არ გექნება გარეული ჯერ, ისეთი ვეფხვი ხარ!*

*ხომ რამდენჯერ გითხარი, ორი ვარია დასხი, რომ ჩემი მოსვლისას რბენა არ დაგჭირდეს მეთქი და ჩინჩხვარიც (ქვაბისთვის) შეგროვებული გქონდეს მეთქი?*

*როგორც ამბები მოდის, შენ თურმე არ ასრულებ იმ ჩემს დავალებას!*

*ახლა, ხუმრობა იქით იყოს (შეიძლება კიდევაც შემოგიარო აგვისტოში!) და ერთი ნამდვილი თხოვნა მაქვს შენთან და ამის შესრულება არ დაიზარო, ვიცი, რომ ლუარსაბ თათქარიძის ჩამომავალი ხარ!*

*ერთი გამიგე, ვინ იყო „ხაშმელი ვასო“ ანუ „ვასუა“, რო-*



*ყეზე რომ ჰქონდა სასადილო რევოლუციამდე და ცოტა აქეთაც? რა გვარის კაცი იყო?*

*მე ძალიან მჭირდება! ახლა წიგნს ვწერ - ფიროსმანაშვილზე (ხომ იცი, რომ იყო ასეთი ნიჭიერი მხატვარი!) და ეს ვასო დიდი მეგობარი ყოფილა მისი!*

*შეიძლება ის ვასუა ცოცხალი არც იყოს, მაგრამ ოჯახიდან ვინმე იყოს მორჩენილი ან მანდ, ან ქალაქში?*

*გამიგე, აგრეთვე, მანდ, ხაშმში ხომ არავის აქვს შემთხვევით ფიროსმანაშვილის ნახატი სურათები?*

*უფრო უნდა გაიკითხო ძველ მიკიტნებსა, დახლიდრებსა თუ სირაჯების ოჯახებში, შეიძლება სხვასაც ჰქონდეს.*

*თუ რამე აღმოჩნდება ან ერთისა, ან მეორისა,- მაშინვე შენთან დავიბადები!*

*თუ ძმა ხარ, გამიგე და პასუხი მამწერე.*

*გკოცნი.*
*შენი ყრმობის მეგობარი*
*გოგლა ლეონიძე*
*25 ივლისი, 1963 წ.*

*ჩემი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. №5, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. დირექტორს გიორგი ლეონიძეს.*

***აბა, შენ იცი!***



წერილის ადრესატია სოფელ ხაშმის მკვიდრი **სანდრო კოშორიძე**. იგი ლეონიძის „ყრმობის მეგობარი“ ყოფილა - ერთად უსწავლიათ თბილისის სასულიერო სემინარიაში. ხაშმში დღესაც დიდი სიყვარულით და მოწიწებით იხსენებენ ბატონ სანდროს. იგი წლების განმავლობაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა აქაურ სკოლაში. სიდარბაისლით, წიგნიერებით, პატიოსნებით გამორჩეული კაცი ყოფილა- ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გარდასული თაობისა, იმ თაობისა, რომლის საუკეთესო თვისებები ასე გვაკლია დღეს.

გიორგი ლეონიძე და სანდრო კოშორიძე თურმე ხშირად სწერდნენ ერთმანეთს წერილებს. დღეს ამ გულითადი მეგობრობის დასტურად ეს წერილი შემოგვრჩა.

მადლობას მოვახსენებთ სანდრო კოშორიძის ქალიშვილს - დოცენტ **ელენე კოშორიძეს**, რომელმაც მოგვაწოდა ეს წერილი და აქვე გთავაზობთ მის მოგონებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე კოშორიძე

# გიორგი ლეონიძის სტუმრობა

აგვისტოს ბოლო რიცხვები იყო. დედა და მამა მასწავლებელთა რაიონული კონფერენციიდან დაბრუნდნენ. განსაკუთრებულ გუნებაზე იყო მამა:

- ჩემი ყრმობის მეგობარი ვნახე.

მისი ყრმობის მეგობარი გოგლა ლეონიძე აღმოჩნდა.

თურმე იგი თავის მშობლიურ სოფელში - პატარძეულში - მიდიოდა. სართიჭალას რომ გამოსცდნენ, გრძელას ასახვევთან, ჯგუფად შეგროვილი ხალხი შეუნიშნავს. მძღოლს უთქვამს (მძღოლი ხაშმელი იყო - ალექსანდრე ხოსიტაშვილი):



- ხაშმის სკოლის მასწავლებლები საგარეჯოში მიდიანი პედაგოგიურ კონფერენციაზე.

ბ-ნ გოგლას მანქანა გაუჩერებია და მამაჩემი მოუკითხავს. თავისი მანქანით წაუყვანია საგარეჯოში რამდენიმე მასწავლებელთან ერთად და იქიდან მობრუნებულა პატარძეულში. მამასთვის პირობა მიუცია, რომ აუცილებლად ესტუმრებოდა ხაშმში.

მამა ამ მოულოდნელი შეხვედრით იყო გახარებული.

გადიოდა წლები. ბ-ნი გოგლა შორიდან ესალმებოდა ხოლმე მამას და უთვლიდა: ერთი-ორი ვარიკა გოდორქვეშ ამოსვით და ნიმლებიც მზად გქონდეთ, ამ კვირას თუ არა, იმ კვირას მაინც გამოგივლითო.

ბოლოს მამამ წერილი მიიღო, რომელშიაც ბ-ნი გოგლა მხატვარ ფიროსმანიშვილზე სთხოვდა ცნობების შეგროვებას (ეს წერილი და მამას პასუხი - დაუმთავრებელი შავი - ჩემთან ინახება).

ამის შემდეგ ბ-ნი გოგლა მართლაც გვესტუმრა. პატარა ბიჭებივით აღტაცებულები და გახარებულები შევცქეროდით. მაკვირდა, მამა რომ მიმართავდა: ბიჭო, გოგლაო... ასევე მიმართავდა ბ-ნი გოგლაც... უკვე სემინარის წლები გაცოცხლდა მათ შორის. უკვე წარსულში გადასახლდნენ, თანაც ეს წარსული იქვე იყო, გუშინდელ დღესავით ახლობელი... იხსენებდნენ მეგობრებს, მასწავლებლებს - იპოლიტე ვართაგავასა და ვასილ ბარნოვს, იხსენებდნენ კლასში თუ წრეზე წაკითხულ საუკეთესო თემებს, რომელთა ავტორი ხშირად ჭაბუკი გოგლა ყოფილა...

მამამ მოაგონა: როცა განსაკუთრებულ ქებას დაიმსახურებდი, გახარებული კათედრაზე გდგარდა შეხტოდა (რა თქმა უნდა, შესვენებაზე!). შემობრიალდებოდა ქუსლზე და დაიძახებდით: ლეონიძე, კოხტა ბიჭო, შენ გენაცვალეო...

- მაგ დროს უკვე ჩაიგრიალა, - უპასუხებდა ღიმილით ბატონი გოგლა.

- შენ ეს მითხარი, ლეარსაბ თათქარიძესავით ერთ ადგილზე რატომ გაიყინე?

მამამ სიამაყით მოახსენა, რომ ერთი შვილი ასპირანტურას ამთავრებდა და მეორე - პოლიტექნიკურ ინსტიტუტს.

- ყველაფერი ამბავია,- მიუგო ბ-მა გოგლამ... აი, თქვენი სახლის ყველ კუთხეში აკვანი რომ იდგეს, ეგ იქნება საქმეო...

მამამ გაიღიმა. ალბათ თვითონაც ასე ფიქრობდა.

ამასობაში სუფრა გაიშალა. მე და დედა სამზარეულოში ვტრიალებდით. ეტყობა, ჩვენს ლაპარაკს ყური მოჰკრა ბ-მა გოგლამ და ფრთხილად შემოაღო კარი:

- თქვენი ჭირიმე, ნიგვზით ნუ გააჭყლეპინებთ მაგ დედლებს, მაგას ნიორწყალი უფრო მოუხდებაო.

დედამ ნიშნისმოგებით შემომხედა.

მალე შემოვუსხედით სუფრას, რომელსაც განთქმული ხაშმური საფერავი ამშვენებდა.

- ნამდვილი „დევის სისხლიაო", - ბრძანა ბ-მა გოგლამ და ჭიქას გაჰხედა.

სიამოვნებით ვუსმენდით ძვირფას სტუმარს.... ბატონი გოგლა თამადობდა. მან პირველად ჩვენი ფუძე და სახლ-კარი დალოცა: წმინდა ადგილია, ბაქრაძეებმა ნაუკაროს საძირკველიო. მე გაკვირვებით შევხედე. არ ვიცოდი, თუ ჩვენი ვინაობა ასე კარგად იცოდა.

- დიახ, ბატონო! ამ სახლის საძირკვლის ჩამყრელნი ლევან და დიმიტრი ბაქრაძეები არიანო (მამაჩემის დედა, მარიამ ბაქრაძე, ძმისშვილი იყო ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძისა). „სიტყვამ გაინავარდა"... ჩვენ კი მადლობის ნიშნად მისივე ლექსებით ვახალისებდით სუფრას.

უბედნიერესი წუთები იდგა...

ბ-ნ გოგლას ახლდნენ ქალიშვილი, სიძე და შვილიშვილი. ისინი რატომღაც ჩქარობდნენ, ბ-ნი გოგლა კი არ ჩქარობდა. არც ჩვენ გვეთმობოდნენ ჩვენი სტუმრები. მაგრამ ვიდრე შეღამდებოდა, ადგნენ. ბ-ნი გოგლა შემპირდა, რომ ჩემი დისერტაციის დაცვაზე აუცილებლად მოვიდოდა, ხოლო „დისერტაციაზე" ითამადებდა კიდეც. მაგრამ თურმე ამაოდ ველოდი ამ დღეს.

1966 წლის დეკემბერში, ჩემი დისერტაციის დაცვის დღეს, აღარც ბ-ნი გოგლა იყო და აღარც ჩემი ხელმძღვანელი პროფესორი ვარლამ თოფურია. ორივემ 1966 წლის აგვისტოში დატოვა ეს წუთისოფელი.

ლალი იორდანიშვილი

# სემინარიელნი: გიორგი ლეონიძე და სოლომონ იორდანიშვილი



გიორგი ლეონიძე და სოლომონ იორდანიშვილი 1911-1917 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ და იქვე დამეგობრდნენ. მაშინ სემინარიაში სწავლის პერიოდის სასულიერო სემინარიის და მისი მასწავლებლების დახასიათებლად და გასაცნობად დავიმოწმებთ ამონარიდს გაზეთ „საქართველოდან" (1917 წ. №45): „წარსულ საუკუნეში ქართველი ინტელიგენცია სემინარიაში აღიზარდა. მის [illegible] კედლებიდან გამოსულმა ახალგაზრდობამ გააღვიძა მიძინებული ქართველის ბედი. სემინარია თავისი ღვაწლით გაუტოლდება საქართველოს ძველი მონასტრის აკადემიებს. [illegible] მისი მნიშვნელობა ქართველი ერის [illegible]. [illegible] ქართველმა დაწესებულებამ ვერ შეძლო [illegible], რომელიც ეს შეძლო [illegible] სემინარიამ, სემინარია ნამდვილი ეროვნული სასწავლებელია, აქ [illegible] საქართველოს [illegible] შვილები, აქ მათ შორის [illegible], [illegible] საქართველოს შენება, აქ მუდამ [illegible] სამშობლოს სიყვარული.

დღეს, ამ სასწავლებლის მეთაურია [illegible] „[illegible]" ცნობილი საყვარელი [illegible]; დღეს, აქ მასწავლებლობს [illegible] საყვარელი მოღვაწეობ-ტი ვასილ ბარნოვი, აქ მასწავლებლობს ძველი მწერლობის მკვლევარი ილ. ვართაგავა, აქ ტრიალებს ძვირფასი მუსიკოსი ია კარგარეთელი. აქვე არიან სხვა ქართველებიც, რომელთაც გული შესტკივათ საქართველოს საქმისათვის; - შემდეგ კორესპონდენტი აუწყებს საზოგადოებას, რომ - სემინარიის მოწაფეებს არ [illegible] ქართულ ცხოვრების და [illegible] ერთი ყვავილით მაინც დაამშვენებენ ნ. ბარათაშვილის შუბლს.

დღეს საიმპერიო საშუალო სკოლის საკონცერტო დარბაზში მართავენ ისინი სალიტერატურო სამუსიკო საღამოს.

მართალია, ისინი ვერ მოგხიბლავენ არტისტობით და ესთეტიკით, მაგრამ გაიხარებენ ქართველის შეუბღალავს სულს, სად სახეს, უბეს სურვილს.

დღეს ისინი [illegible] [illegible] და „ერთიც [illegible] - ისინი".

გაზეთებით 1917 წ. გაზეთ „საქართველოში" მოთავსებულ ალა ნორიელის[1] წერილში.

ხოლო გაზეთ „საქართველოს" მომდევნო ნომერში 1917 წ. 4 მარტს აღწერილია სემინარიელთა საღამო ნ. ბარათაშვილის პატივსაცემად რომ ჩატარდა.

„მგოსან ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო 26 თებერვალს საიმპერიო საშუალო სკოლის საკონცერტო დარბაზში გამართული იყო სემინარიელთა მიერ საღამო მის პატივსაცემად. საღამოში მონაწილეობდნენ განსაკუთრებით სემინარიელნი. [illegible] ამკობდა სემინარიის [illegible] კლასის მოწაფის ს. იორდანიშვილის ნახატი. ნ. ბარათაშვილის დიდი სურათი შემკობილი ყვავილთა გვირგვინით. საღამო გახსნა ს. იორდანიშვილმა აღმაფრთოვანებელი და შთამბეჭდავი მისალმებით საზოგადოებისადმი. სიტყვა შინაარსიანი იყო და საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა იგი. მომდევნოდ გუნდმა ია კარგარეთელის დირიჟორობით ტკბილად იმღერა „სამშობლო", რის შემდეგაც ახალგაზრდა სემინარიელმა

1 როგორც გაირკვა ალა ნორიელი გიორგი ლეონიძის ფსევდონიმი ყოფილა.



მგოსანმა გ. ლეონიძემ კარგის დეკლამაციით წაიკითხა ორიგინალური ლექსი „დაჭრილი სული", რომელშიც ისტორიულად განავითარა ის აზრი, რომ ბარათაშვილი არ არის ცალკე [illegible] ფრაგმენტი, ანდა მასაც ჰქონდა წინამორბედები ჩვენ პოეზიაში - თავისი განმარტება მან დაადასტურა თავისივე მოყვანილი ხელნაწერი ციტატებით: გიორგი მთაწმინდელის, შოთა რუსთაველის, თეიმურაზ I, ბესიკის და სხვების პოეზიიდან.

შინაარსიანი სიტყვა ჰ. გურამიშვილის რეფერატი „სამგლოვიარო კილო ბარათაშვილის პოეზიაში". შემდეგ საუცხოვო იყო ფსიქოლოგიური ესკიზი ნ. [illegible] „მხედარი", რომელშიაც მომხსენებელმა აღნიშნა ისა, რომ შოთას შემდეგ ბარათაშვილი სხვებზე უფრო მეტად [illegible] ჩვენში.

სემინარიელმა მოწაფეებმა ბარათაშვილის უკვდავ საუკეთესო ლექსები, რომელთა შორისაც [illegible] ნ. [illegible] შინაარსიანი ლექსი. [illegible] კარგი იყო [illegible] კახიშვილი, რომელმაც ბარათაშვილის უკვდავი საუკეთესო ლექსი „[illegible]". უკანასკნელმა თავის ლექსის პირველ ნახევარში მოკლედ და მშვენივრად დაახასიათა საქართველო ბარათაშვილის დაბადების ხანაში, ხოლო მეორე ნახევარში მოუწოდა რა მის სულს, კარგად და ღრმა აზრებით შეეხო მის პიროვნებას. კარგი იყო აგრეთვე მისი მეორე „[illegible]" ლექსი. ბარათაშვილის ლექსებს ამშვენებდა აგრეთვე ნამდვილი ქართული კილო და თავისებური მელოდიური დეკლამაცია. საზოგადოებამ იგი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა. ლამაზად წაიკითხეს მოწაფეებმა ბარათაშვილის ლექსები. ტკბილად იმღერა მოწაფე გოგიშ-

ლოშვილმა „Solo" „შვენიერთა ხელმწიფე" (კარგარეთელის მუსიკა) და „შემოქვარდა ეშ ხმა ტკბილი".

რეპერტუარ-უხეიზების გარდა საღამოს ამშვენებდნენ შვენიერი ქორეული სიმღერები, შესრულებულნი სემინარიელთა გუნდის მიერ ია კარგარეთელის ლოტბარობით.

ეპიზოდის აღტაცება და ესთეტიკური სიტკბოება გამოიწვია ია კარგარეთელის მიერ ბერძნულ საგმირო Signoriso-ს ჰანგზე ახლად გადაღებულმა სიმღერამ „საქმიანელი ხევსურისამ". თითქმის ყველა სიმღერას ია კარგარეთელის სემინარიელთა გუნდის დაკრებით ამეორებინებდნენ. მიუხედავად ცუდი ამინდისა, საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო. იგი რჩეული საზოგადოება, ბრძანებდნენ ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ანტონი და არქიმანდრიტი ნაზარი, რომელნიც როგორც მთელი საზოგადოება ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ საღამოში მონაწილეთა მამლეთ.

საღამოს შემოსავალი მოხმარდება სემინარიის ღარიბ მოსწავლეებს.[2]

სემინარიელთა მიერ ნ. ბარათაშვილის სალიტერატურო საღამოს მოწყობა ცხადია, ქართული ლიტერატურისადმი სიყვარულმა განაპირობა. ეს კი ამ საქმის მასწავლებლის ვასილ ბარნოვის დამსახურებაა.

სემინარიელი კალისტრატე (ტუშა) იაკობაშვილი, აი, როგორ იგონებს ქართულის მასწავლებელს: „ამ დროს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ჩვენი სასიქადულო მწერალი ვასილ ბარნოვი ბრძანდებოდა. ხშირად ამ დიდებულმა ვაჟმა აღგვიძრა შეუვალი მშობლიური ლიტერატურა. იგი თავის გაკვეთილებზე საუცხოოდ გვიხატავდა საქართველოს წარსულს, გვესაუბრებოდა მის მომავალზე. ჩვენ, ახალგაზრდებს აღზრდიდა ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის და სხვა მწერლების ნაწარმოებებზე ხშირად გვიცხადებდით საქართველოს ბედნიერ მომავალზე.[3]

საქართველოს ბედნიერ მომავალზე ფიქრმა სემინარიელები აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1917 წ. 12 მარტს, როდესაც მცხეთის საკათედრო ტაძარში გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებმა მოითხოვეს სასწავლებლის გაქართულება და ასეთი მოწოდებით გამოვიდნენ: „ჩვენ თბილისის სასულიერო სასწავლებლის ქართველი მოსწავლენი, მოვაგონებთ ქართველ საზოგადოებას და ნამეტნავად ქართველ სამღვდელოებას მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლის გარუსება უკვე ალიარებულია დროებითი მთავრობისაგან, ჩვენ სასწავლებელში მის განსახორციელებლად აქამდის არავითარი ზომა არ არის მიღებული და რომ ძველი რუსეთის სინოდის მოხელენი ისევ აწარმოებენ ძველ გამარუსებელ პოლიტიკას, ამით ვაცხადებთ, რომ როგორც ჩვენი, ქართველ მოწაფეთა, აგრეთვე საქართველოს ავტოკეფალიური ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას სასწავლებელში სწავლა ქართულ ენაზე. ვინაიდან ეს სასწავლებელი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ქართულ ეკლესიას. განმსჭვალულნი ამ შეგნებით და გატაცებულნი სამშობლო ენაზე სწავლის წყურვილით, შაბათს 14 ღვინობისთვეს, ჩვენ, მოსწავლენი შევიკრიბეთ ერთად და გამოვუცხადეთ მასწავლებლებს ჩვენი სურვილი. ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ სწავლის შეწყვეტა, ვიდრე ქართულად არ მოეწყობა იგი. მაგრამ რადგან ჩვენის ძალით ვერას გავხდებით, თუ მხარი არ დაგვიჭირეს მშობლებმა და, მთლიანად, საკუთრივ სამღვდელოებამ და ქართველმა საზოგადოებამ, ამიტომ მოვითხოვთ ახლავე მიგვხედონ და გვიშველონ ჩვენ სამართლიან მოთხოვნილების განხორციელებაში... ვიმეორებთ, ვიდრე ბოლომდე არ გადაწყდება წამოყენებული საკითხი, არ დავიწყებთ სწავლას, ახლავე უნდა ვიცოდეთ, შესაძლებელია ნაციონალიზაცია ამ წლიდანვე, თუ შემთხვევით ვერ მოხერხდება იგი? თუ ვერა, უნდა გამოცხადდეს, რომ სასწავლებელი დაიკეტება ერთი წლით". თბილისის სასულიერო სასწავლებლის ქართველ მოწაფეთა აღმასრულებელი კომიტეტი.[4]

ვასილ ბარნოვის მოწაფეებთან ურთიერთობაზე სარა ბარნაველი წერდა: „ვ. ბარნოვი განსაკუთრებული მადლით სინდისიერებით ეკიდებოდა თავის პედაგოგიურ მუშაობას. მუდმივი ზრუნველობა მოწაფეებზე, მისწრაფება მათთვის საუკეთესო მაგალითის მიწოდებაზე ახასიათებდა მას, როგორც მასწავლებელს. შესანიშნავი იყო მის მიერ მოწაფის ფსიქოლოგიის ცოდნა და ალღო, რითაც იგი შეამჩნევდა მოწაფის ნიჭს და წაახალისებდა მის განვითარებას.[5]

იმის ნათელსაყოფად, თუ რა საკითხებს ამუშავებდნენ სემინარიელები ქართულ ლიტერატურაში, საკმარისია დავიმოწმოთ სოლომონ იორდანიშვილის არქივში დაცული მისი მოწაფეობისდროინდელი ორი რეფერატი: 1. „ამირანი და მისი უმთავრესი თვისებები", 2. „ქრისტიანული რწმენის კვალის ძიება „ვეფხისტყაოსანში".[6] ორივე თემისათვის ვ. ბარნოვს უმაღლესი შეფასება მიუცია, განსაკუთრებით მოსწონებია მეორე: „კარგად გიმუშავია, ღრმად დაგიწერია".

ასეთი თემის დასამუშავებლად სათანადო თეოლოგიური ცოდნა და მომზადება იყო საჭირო, როგორც ჩანს, მასწავლებელს ამის იმედი ჰქონია, რომ მისი მოსწავლე ასეთ თემას დაძლევდა.

ვინ იცის იქნებ სემინარიაში დამუშავებულმა ამ თემამ სოლომონ იორდანიშვილს აღუძრა „ვეფხისტყაოსნის" ღრმად შესწავლის ინტერესი და განაპირობა მისი რუსთველოლოგობა.

ვასილ ბარნოვი გატაცებით ხელმძღვანელობდა თავის მოწაფეებს, რომლებიც იწყებდნენ მაშინ ლიტერატურულ მუშაობას (ვ. გორგაძე, გ. ლეონიძე)[7]

გიორგი ლეონიძე სემინარიის დამთავრების შემდეგაც ვასილ ბარნოვის საყვარელ მოწაფედ დარჩა. იგი მოხუცსა და ავადმყოფ მასწავლებელს ყურადღებას არ აკლებდა. ვ. ბარნოვსაც განსაკუთრებით უყვარდა გ. ლეონიძის ნახვა, აქებდა, როგორც უჩვეულო ნიჭის ახალგაზრდას, რომელიც შეძლებდა ჩვენს მწერლობაში კვალის დაჩნევას.

ვ. ბარნოვმა თავისი ნაწერები ოც ტომში მოაქცია და გ. ლეონიძეს დაუტოვა სრული უფლება თავისი ნაწარმოებების ტომებად გამოცემისა.[8]

გიორგი ლეონიძეც ასეთივე სიყვარულით და პატივისცემის გრძნობით მოიგონებს თავის მასწავლებლებს: „ვასილ ბარნოვი და ია კარგარეთელი - ეს ორი წმინდა სახელი სიწმინდე იყო მთელი მოწაფეობისა."[9]

. გიორგი ლეონიძე და სოლომონ იორ-

2 გაზ. „საქართველო", 1917 წ. 4 მარტი, (ხელს აწერს ერთი ვინმე).

3. მ. მოსეშვილი, ილო მოსეშვილის „ცხოვრების ქრონიკა", 1981 წ. გვ. 13.

4 გაზ. „საქართველო". 1917 წ. ღვინობისთვის 18 (13), №229, გვ. 4.

5 ჟურნ. „ლიტ.მატიანე"; წიგნი 1-2, 1940 წ. გვ. 38-40.

6 ეს ნაშრომი გამოვაქვეყნეთ 1990 წ. ჟურნალი „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, №1 გვ. 5-15.

7 იპ. ვართაგავა, მოგონებების წიგნი, ნაწ. II, გვ. 313.

8. თ. სახოკია, ვასილ ბარნოვი, „ლიტერატურის მატიანე", წიგნი 6, ნაკვეთი პირველი, 1952 წელი, გვ. 133.

9. გიორგი ლეონიძე, ია კარგარეთელის ნეკროლოგი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1939 წ. №1, გვ. 4.

დაიმშვიდა სამშობლოს ბედმა და ქართული ლიტერატურისადმი სიყვარულმა დაამშვიდა. თვითონ ლიტერატურული მოღვაწეობა სემინარიაშივე დაიწყო.

გ. ლეონიძე 1912 წლიდან ლექსებთან ერთად პრესაში კორესპონდენციებსაც აქვეყნებდა.

გ. ლეონიძის ადრინდელ ლექსებში შეიმჩნევა ეპიკურობისა და ხედვის გამოხატული მოტივი, როგორც იმ დროისათვის გაბატონებული ძალა. იგი აღელვებით შეითვისა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შემოქმედის მგრძნობიარე გულმა.

გ. ლეონიძის პოეტური აზრის მთავარ მამოძრავებელ ძალას ამ პერიოდში სამშობლოს სიყვარული წარმოადგენს. პოეტს იზიდავს, აღელვებს და აღაფრთოვანებს როგორც საქართველოს წარსული, ისე მისი აწმყო და მომავალი ბედიღბალი. მისი დარდი და ნაღველი სათავეს სამშობლოს ნაღვლიან მდგომარეობიდან იღებს. ერთის მხრივ, რუსეთის ცარიზმის დამარცხებით გამოწვეული განწყობილება, მეორე მხრივ, სამშობლოს უბედურების შეგრძნება მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს.

მრავალი ლექსი უძღვნა გ. ლეონიძემ აღნიშნულ პერიოდში თავის სამშობლოს - საქართველოს.[10] პოეტს ღრმად აღელვებს სამშობლოს უბედურება, სადაც გზა შეკვრია წინსვლა-მოძრაობასა და ლაღი აზრის განვითარებას. სამშობლოს მძიმე ყოფით შეწუხებული პოეტი იმედიანად შეჰყურებს (რაც მოგვიანებით გამართლდება). მაგრამ არც მას შეეძლო ეწინა დიდი ხნის საცოცხლე: გზად მიმავალი პოეტი გულისწყრომით ამბობს, რომ „შავი ნისლი, შავი ფრთებით, სამშობლოსკენ მიიჭრის", რათა უკანასკნელი იმედიც მოუსპოს „და ხალხის ფრთა წაიღოს - სანეტარო მომავალზე" (გ. ხერხეულიძე, გ. ლეონიძის პოეზია, 1981 წ. გვ. 13).

თუ გავითვალისწინებთ სოლომონ თორდიაშვილის[11] ამ პერიოდის ლექსებს, იქაც იგივე მოტივი ჟღერს. სამშობლოს გულშემატკივარ წყლიანის მოგვცემს, რომელსაც ფარდაც გაუშლია შავი ფრთები, ბნელი მეუფეობის შავბნელებში გაუხვევია, თვრების ტოლებსაც კი ხედავს ზღაპარს თხზავენ. აღმაშფოთებელი მოვლენების გამო „კონტრებზეა"[12]. ავტორისთვის საქართველოს ბედი და თავისუფლების იდეა მტკივნეული პრობლემაა. საქართველოს სიმბოლურ სახედ წალკოტი აქვს წარმოდგენილი.[13] სათაყვანებელ ტურფა წალკოტში ოდესღაც ყვაოდა ნაირნაირი ყვავილი, მაგრამ წალეკა სისხლის ნიაღვარმა. ახლა სისხლით შეღებილია ზამბახი, სუსამბრის ლერო, სისხლის გუბეში დაცურავს ნარგიზის ფურცელი. ამის შემყურე ავტორი გულამოსკვნილი აცხადებს: „ჰოი! მე აღარ ძალმიძს მათი მზერა! და სევდიანი კითხვა დასძენს: „მაშ რაღად გიკვირს, რომ ჩემ სათუთ ყრმის ვარდს ოდესღაც ტურფა წალკოტის, ახლანდელმა სანახაობამ ფურცლები ჩამოუჭკნო?"

ლექსში „უსწორო ტყვეობის"[14] საქართველოს ბედზე დაფიქრებული ჭაბუკი ამ ლექსით გამოხატავს გულისტკივილს სამშობლოს თავისუფლების დაკარგვის გამო: „სამკვიდრებელი ჩვენი გარდაიქცა სხვათად და სახლი ჩვენი უცხოთად". ამიტომ მოუწოდებს ივერიელთ: „უსწორო ტყვეობის ქვითინს მას გარეწარნი ცეკვარობენ!". ს. თორდიაშვილის ამ დროინდელ სხვა ლექსებზე აღარ შევჩერდებით.

ახლო სულისკვეთებით გამსჭვალული იყო გიორგი ლეონიძე და სოლომონ თორდიაშვილი, ცხადია, ერთმანეთთან ბევრ საერთოს ნახავდნენ. ამან შეუწყო ხელი მათ დამეგობრებას, ხოლო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ ეს მეგობრობა თანამშრომლობაში გადაიზარდა.

1935 წელს მათ ერთად დაამუშავეს და გამოსცეს ძველი ქართველი მწერლობის საყურადღებო ძეგლი ფეშანგის „შაჰნავაზიანი".[15] გამოცემას წინ უძღვის გ. ლეონიძის ვრცელი გამოკვლევა ავტორის და პოემის შესახებ. დართული აქვს საჭირო ცნობით ს. თორდიაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი და საძიებელი.

„შაჰნავაზიანის" გამოსვლის გამო გაზ. „კომუნისტის" 1935 წ. №154 მოთავსებულ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა ფეშანგის „შაჰნავაზიანი" პოეტ გიორგი ლეონიძისა და დოც. სოლომონ თორდიაშვილის რედაქციით. ანოტაცია მკითხველს აუწყებდა, რომ „შაჰნავაზიანი" მე-17 საუკუნის ისტორიული პოემა დაწერილია 1864 წ. ქართლის მეფის ვახტანგ V (შაჰნავაზის) კარის მწიგნობრის ფეშანგის მიერ. პოემაში აღწერილია ქართლ-კახეთის, იმერეთ-ოდიშის ამბები. 1658-1664 წლებში. პოემის ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია ერთადერთი ხელნაწერის სახით.

„შაჰნავაზიანის" ამ გამოცემას ვრცელი რეცენზიები მოუძღვნეს ვარლამ ხურიძემ[16] და აკაკი გაწერელიამ.

ვარლამ ხურიძე აღნიშნავს, რომ ფეშანგის „შაჰნავაზიანი" დაწერილი 270 წლის წინათ, არის მოზრდილი პოემა და წარმოადგენს ქართველი მეფეების შაჰნავაზის (ვახტანგ V) და მისი შვილის არჩილის მოღვაწეობის აღწერას შვიდი წლის განმავლობაში (1658-1664).

ამ პოემის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვაძლევს ფეოდალური საზოგადოების ყოფაცხოვრების ოჯახურ ტრადიციებს, ზნეჩვეულებებს და საზოგადოებრივი ყოფის სხვა ელემენტებს.

გ. ლეონიძის მონოგრაფია ფეშანგის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ საგნის ღრმა ცოდნით არის შედგენილი.

ს. თორდიაშვილის მიერ შედგენილი საძიებელი ცოდნის და დაკვირვების შედეგია.

აკაკი გაწერელია[17] იწონებს „შაჰნავაზიანის" გამოცემას, რადგან ამ გამოცემით ხელმისაწვდომი გახდა მე-17 საუკუნის ეს საინტერესო პოემა, რომელიც პირველად ქვეყნდება ერთადერთი ხელნაწერის მიხედვით. ეს ხელნაწერი საკუთრივ საქ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის (ყოფილი საზოგადო მუზეუმის) მ. ბროსეს კოლექციაში ყოფილა დაცული (ხელნაწერი №38).

რეცენზენტმა გამოცემის ღირსებად მიიჩნია ის, რომ ყოველი ლექსი ამ გამოცემისა წარმოგვიდგენს პოემას იმ სახით, როგორც ის ხელნაწერს დაუცავს. ცხადია, რედაქტორების შეცნობილი კორექტივების გამოკლებით.

ამ გამოცემაში - აღნიშნავს რეცენზენტი - გ. ლეონიძის წინასიტყვაობა მოზრდილ მონოგრაფიას წარმოადგენს. რედაქტორის აღდგენილია პოემის ავტორის ფეშანგის ბიოგრაფია. აქვე გ. ლეონიძე მიმოიხილავს XVII-XVIII საუკუნეებში მყოფ მწიგნობრობის ისტორიას და საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ დაუმუშავებელი

10. გრ. ხერხეულიძე, გ. ლეონიძის პოეზია, 1981 წ. გვ. 12.

11. ს. კაშიაშვილის ფსევდონიმით წერდა.

12. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1915 წ. №52.

13 ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1916 წ., №24.

14 გაზეთი „საქართველო", 1917, №166.

15 ფეშანგი „შაჰნავაზიანი" (ისტორიული პოემა) გიორგი ლეონიძისა და სოლომონ თორდიაშვილის რედაქციით, სახელგამი, თბილისი, 1935 წ.

16 გაზ. „კომუნისტი", 1935 წ., 5 დეკემბერი, გვ. 4.

17. ჟურნ. „მნათობი", 1936 წ. №1, გვ. 193-195, ბიბლიოგრაფია, ფეშანგი, გ. ლეონიძის და ს. თორდიაშვილის რედაქციით, სახელგამი, 1935 წ.

საკითხის ირგვლივ. ვრცლად მიმოიხილავს XVII საუკუნის საქართველოს კულტურულ ვითარებას, საზოგადოებრივი ფენების ურთიერთობას და სხვ.

რედაქტორი ამ პოემას დოკუმენტურ წყაროდ თვლის, რომელიც ვახტანგ V და მისი შვილის მოღვაწეობის ქრონიკასა და პანეგირიკს წარმოადგენს და ამის გამო „შაჰნავაზიანი" პირველ რეალისტურ თხზულებად უნდა ჩაითვალოს ქართული პოეზიის ისტორიაში - აღნიშნავს რედაქტორი.

რეცენზენტსაც უყურადღებოდ არ რჩება ის ფაქტი, რომ „შაჰნავაზიანი", როგორც ისტორიული დოკუმენტის ღირებულება, უსათუოდ მნიშვნელოვანია. მისი გამოცემა კი ტექსტოლოგიური მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

1938 წელს გიორგი ლეონიძემ და სოლომონ იორდანიშვილმა გამოსცეს ძველი ქართული მწერლობის დიდად საყურადღებო ძეგლი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა".

გიორგი ლეონიძემ სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლა ჯერ კიდევ 1928 წ. დაიწყო.

სოლომონ იორდანიშვილიც 1928 წ. გამომცემლობა „ქართული წიგნის" დაკვეთით გიორგი ახვლედიანთან ერთად მუშაობს საბას „ქართული ლექსიკონის" (რომელიც უნდა გამოსულიყო ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის რედაქტორობით) რეკული სასიტყვოს შედგენაზე. ამასთან საბას ლექსიკონი უნდა გადათარგმნილიყო რუსულად და რუსული ანბანთრიგით გაწყობილი ცალკე წიგნად უნდა დართოდა სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონს". რუსული სასიტყვო მოემზადა, მაგრამ გამომცემლობამ გადაწყვიტა ლექსიკონი 1928 წ. გამოეცა სასიტყვოდ. სოლომონმა ბევრი იმუშავა საბას ლექსიკონზე და ამან საფუძველი ჩაუყარა „სიბრძნე სიცრუისათვის" ვრცელი ლექსიკონის შედგენას. „სიბრძნე სიცრუისას" გამოსვლის გამო გაზ. „ლიტერატურული საქართველოს", 1938 წ. №30, ახალი წიგნების რუბრიკაში მოთავსებულია ცნობა, რომ სახელგამმა გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა", სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით და გიორგი ლეონიძის ვრცელი მონოგრაფიული წერილით; „სულხან-საბა ორბელიანი და სიბრძნე სიცრუისა". წიგნს დართული აქვს რედაქციის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

მხატვრულად გაფორმებული „სიბრძნე სიცრუისა" ილუსტრირებულია ს. მაისაშვილის მიერ შესრულებული ფერადი სურათებით.

„სიბრძნე სიცრუის" გამოცემაზე რეცენზია მოათავსა ჟურნ. „ჩვენი თაობის", 1940 წ. №5. გვ. 64. სადაც აღნიშნულია, რომ: სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა", უნიკალური ძეგლია მთელ მე-17 ს. მანძილზე, როგორც ნიმუში, უაღრესად თავისუფალი აზროვნებისა, ნატიფი შემოქმედებისა და ქართველი ერის გონებამახვილობისა. სტამბურად 1859 წ. გამოიცა პეტერბურგს. აღნიშნულმა ძეგლმა რამდენიმე გამოცემა განიცადა, მაგრამ ს. ორბელიანის დიდი ერუდიციის ქმნილების ღირსებას ვერცერთი მათგანი მთლიანად ვერ უპასუხებდა.

გ. ლეონიძის ვრცელი გამოკვლევის დართვით იგავ-არაკთა ეს შესანიშნავი კრებული ნამდვილი დაგვირგვინებაა ამ ბრწყინვალე ძეგლისა. იგი ძირითადად განსხვავდება სხვა გამოცემებიდან რაც მთავარია, ტექსტის დადგენით. ამ მხრივ, მთლიანად დაცულია ავტორის სტილი და თხზულების არქიტექტონიკა, რაც რედაქტორს ხელს, იორდანიშვილის დაკვირვებულ მუშაობას უნდა მიეწეროს.

წიგნს დართული აქვს ორიგინალური პოეტის გიორგი ლეონიძის გამოკვლევა: „სულხან-საბა ორბელიანი და „სიბრძნე სიცრუისა", რომლის პირველი ვრცელი ბიოგრაფიაც არის დიდი მოღვაწისა და თხზულების გარჩევაც. ლეონიძისათვის ჩვეული მიმზიდველი ენით და მოხდენილი სტილით, ნაშრომის მთელ მანძილზე გარკვეულია ს.ს. ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი შტრიხები და მნიშვნელოვანი თარიღები. ავტორის გამოკვლევები აქვს უაღრესი ლიტერატურა. საგულისხმო ძეგლები და უტყუარი წყაროები, რომლითაც ის აღწევს მწერლის ცხოვრებაში მთელი რიგი ფაქტების გაშუქებასა და დადგენას. შრომაში გარკვეულია ს.ს. ორბელიანის დაბადება, ბავშვობა და აღზრდა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, განათლებისა, კათოლიკობის მიღება და მისი უახლოესი მეგობარი - საბა ვახტანგ VI აღმზრდელი, დიპლომატი და მოგზაური, მისი სამეფო კარზე დაწინაურება, რუსეთში გადასახლება და გარდაცვალება. წიგნს დართული აქვს ს. იორდანიშვილის შედგენილი ლექსიკონი და სადიებლი, აგრეთვე მხატვარ ს. მაისაშვილის მიერ ფერებში შესრულებული ილუსტრაციები და ახალგაზრდა პოეტი სულხანი. წიგნი დაბეჭდილია სუფთა ქაღალდზე და ყდაზე ჩასმულია ლიტერის ვარაყიან ყდაში. სახელგამის აღნიშნული გამოცემა დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

რეცენზენტის ვინაობა არ ჩანს, ხელმოწერილია ერთი ასო სანი.

ასეთია გიორგი ლეონიძის ტექსტოლოგიურ-რედაქტორული მოღვაწეობის ერთი მონაკვეთი, რომელიც უკავშირდება ს. იორდანიშვილთან თანამშრომლობას. როგორც გამოვლინდა, გ. ლეონიძის მეცნიერული მოღვაწეობას საფუძვლად უდევს სამშობლოს ქვეყნისადმი და მშობლიური კულტურისადმი მხურვალე სიყვარული. ჩვენ გვჯერა დრო და საუკეთესო კოდექსური მეტი დიდებით შემოსავს გ. ლეონიძის სახელს, რომელსაც სიყვარული და პატივისცემა არ მოკლებია თანამედროვეთაგანაც.

**ბოლოკუდა:**

გიორგი ლეონიძე და სოლომონ იორდანიშვილი სიცოცხლის ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ.

1950 წელს საიუბილეო ზეიმით აღინიშნა გიორგი ლეონიძის დაბადების 50 წლისთავი. ამ თარიღის მისალოცად მამამ ბ-ნ გიორგი ლეონიძესთან გამატანა თავისი რედაქციით გამოცემული სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა"[18], რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა... ...„ზოსიმესავით ერთგულ სოლომონისაგან". მოგეხსენებათ, რომ ზოსიმე გახლდათ სულხან-საბას ძმა. სოლომონ იორდანიშვილის მიერ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის"-ეს გამოცემა (რიგით მესამე) დამყარებული „სიტყვის კონის" იმ ხელნაწერზე, რომელიც გადაწერილია საბას უშუალო ხელმძღვანელობით მისი ძმის ზოსიმე ბერის მიერ თვით რუსეთს, მოსკოვს 1725 წ. საბას სიცოცხლის უკანასკნელ წელს.[19].

მამაჩემი (სოლომონ იორდანიშვილი) გარდაიცვალა 1953 წ. 24 სექტემბერს, ბ-ნმა გიორგიმ გაიზიარა ჩვენი მწუხარება, დაიტირა თავისი მეგობარი, მეტად შთამბეჭდავი იყო მის მიერ მორთმეული თაიგული, ეს იყო შავგული ყვითელი ყვავილები. ამ ყვავილებმა მომაგონა სოფელში მამას მიერ ახალგაზრდობის დროს გაშენებული ყვავილნარი, ზუსტად ასეთი შავგულა ყვითელი ყვავილები ისეთი რიგით ჰქონდა დარგული, რომ მიწაზე გართხმულ ვეფხის ტყავის შთაბეჭდილებას ახდენდა.

1966 წლის 9 აგვისტოს თავზარდამცემი ამბავი შევიტყვეთ - გიორგი ლეონიძის გარდაცვალება. მთელი საქართველო გლოვობდა. უსაზღვრო იყო ჩემი მწუხარებაც. მივაცილე სამუდამო განსასვენებელში მთაწმინდის პანთეონში. მთაწმინდამ გამახსენა ბ-ნ გიორგის მიერ დაარსებული მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი, სადაც ბ-ნ გიორგისთან არაერთხელ ვყოფილვარ მამაჩემთან ერთად ბავშვობისას.

ერთ-ერთ გაზაფხულზე მთაწმინდის პანთეონში გ. ლეონიძის საფლავთან მივედი. მომაჯადოებელი სანახაობა გადამეშალა. მისი საფლავი „ბლუკვლულად ამოსულ იებს ლურჯად გადაებურათ".

18. სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონა ქართული" რომელი არის ლექსიკონი, სოლომონ იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1949 წ.

19. წინასიტყვაობა IV გვ.



# ჯვრისწერის თაობაზე

**ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი ზურაბ ანთაძე**

**- მამა ზურაბ, როდის შეიძლება ჯვრისწერა? უმეტესობა ჯვარს რატომღაც შაბათს იწერს, როგორია ამ საკითხზე ეკლესიური სწავლება?**

- ჯვრისწერა არ შეიძლება მარხვებში. წყვილების უმრავლესობა ჯვარს შაბათს იწერს, მაგრამ ეკლესიური წესით შაბათს ჯვრისწერა არ შეიძლება. შაბათს ქრისტიან მეუღლეებს ცოლქმრული კავშირი არ უნდა ჰქონდეთ, რადგან კვირას წირვას უნდა დაესწრონ და ეზიარონ. ვინაიდან თითქმის ყველა წყვილი შაბათ დღეს მიდის, ეკლესიაში ჯვარს წერენ, სულ რომ არ დარჩნენ ჯვარდაუწერელნი, რადგან შეიძლება სხვა დროს საერთოდ აღარ მოვიდნენ.

**- ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ მაისში ჯვრისწერა არ შეიძლება. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?**

- ეს არის ცრურწმენა. მაისში ჯვრისწერა ჩვეულებრივად შეიძლება. ეს ცრურწმენა რუსეთიდან მოდის.

**- ასევე ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ არ შეიძლება ოჯახის ორმა წევრმა (და-ძმამ, ძმებმა ან დებმა) ერთ დღეს დაიწერონ ჯვარი. ამბობენ, რომ მხოლოდ ერთი იქნება ბედნიერი. თქვენი აზრი ამის თაობაზე.**

- ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს შეიძლება იყოს გაუგებრობა, რადგან არ შეიძლება ორმა ღვიძლმა ძმამ ორი ღვიძლი და შეირთოს ცოლად. სავარაუდებელია ეს აზრი აქედან მომდინარეობდეს.

**- მამა ზურაბ, ჯვრისწერის დროს მეუღლეების ასაკს თუ აქვს მნიშვნელობა? ვთქვათ, რამდენით უფროსი შეიძლება იყოს ქმარი ცოლზე ან პირიქით?**

- მიღებული წესით, ქმარი უნდა იყოს ცოლზე უფროსი. თუმცა ხშირად ხდება, რომ ცოლი ქმარზე რამდენიმე წლით უფროსია. მიზანშეწონილი არ არის, რომ ქმარი ცოლზე 10 წელზე მეტით იყოს უფროსი.

**- რა არის საჭირო ჯვრისწერისათვის? აუცილებელია თუ არა მშობლების თანხმობა და აუცილებელია თუ არა ბეჭდები? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ბეჭდების უქონლობის გამო ცოტა ხნის წინ ასაკიან ცოლ-ქმარს არ დასწერეს ჯვარი, ამას აქვს თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა?**

- ჯვრისწერის დროს მშობლების თანხმობა ძალიან კარგია და სასურველი. ასევე აუცილებელია ბეჭდებიც. თუ ცოლ-ქმარს არა აქვს ბეჭდები, შეიძლება რაღაც დროებით, სულ უბრალო ბეჭდების გაკეთება, მაგალითად, სანთლით.

**- ვინ შეიძლება იყოს მეჯვარე? არის თუ არა რაიმე აკრძალვა? მაგალითად, შეიძლება თუ არა ქმრის ახლო ნათესავი იყოს ცოლის მეჯვარე? ასევე არის თუ არა განსაზღვრული მეჯვარეთა რაოდენობა?**

- მეჯვარე არის ოჯახის უახლოესი მეგობარი. მეჯვარეობის დროს, ნათლობისაგან განსხვავებით, არავითარი სულიერი ნათესაობა არ მყარდება. ამიტომ ამ მხრივ რაიმე აკრძალვა არ არსებობს. მხოლოდ არ შეიძლება კაცს ქალი ჰყავდეს მეჯვარედ და ქალს - კაცი. რაც შეეხება რაოდენობას, თითო მეჯვარე სრულიად საკმარისია, მაგრამ შეიძლება იყოს ორიც.

**- ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ მეჯვარეებმა არ შეიძლება შემდეგ ერთმანეთზე იქორწინონ. მათი ჯვრისწერა ეკლესიურად არის თუ არა აკრძალული?**

- მეჯვარეების დაქორწინება არ არის აკრძალული, რადგან მათ შორის არავითარი სულიერი ნათესაობა არ არის.

**- ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი თუ ერთმანეთს დასცილდება, მეორედ დაქორწინების შემთხვევაში რა არის საჭირო?**

- მეორედ დაქორწინების შემთხვევაში საჭიროა ეპარქიის ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევა. მცხეთა-თბილისის ეპარქიის შემთხვევაში ამ საკითხზე ქორეპისკოპოსს მიმართავენ. ხელახალი ჯვრისწერისათვის ეპისკოპოსისაგან ლოცვა-კურთხევა კაცმაც და ქალმაც, ორივემ, უნდა აიღოს, ცალ-ცალკე.

**- მამა ზურაბ, როცა ქვრივი იწერს ჯვარს, საჭიროა თუ არა ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევა?**

- ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევა ქვრივის ჯვრისწერის შემთხვევაშიც საჭიროა.

**- ჯვრისწერის შემდეგ აუცილებელია თუ არა ხელის მოწერაც.**

- ქორწინების საბუთს ადრე ეკლესია იძლეოდა. ახლა სახელმწიფოს კანონებით ოფიციალურ საბუთს ქორწინების სახლში იძლევიან. ქორწინების რეგისტრაცია მმართველ რაიონულ განყოფილებაშიც შეიძლება.

**- სხვა აღმსარებლობის ცოლ-ქმარს თუ ჯვარი დაწერილი აქვს თავიანთ ეკლესიაში, მართლმადიდებლად მოქცევის შემთხვევაში საჭიროა თუ არა ხელახალი ჯვრისწერა?**

- ასეთ შემთხვევაში ხელახალი ჯვრისწერა საჭიროა.

**- ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდა შერეული ქორწინებები. დღეს ბევრი ქართველი ქორწინდება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელზე. თუ მართლმადიდებელი ქალი სხვა აღმსარებლობის მამაკაცზე ჯვარს დაიწერს მათ ეკლესიაში ისე, რომ არ მიიღებს მათ აღმსარებლობას, ჩაითვლება თუ არა ასეთი ჯვრისწერა და ასე ჯვარდაწერილი პიროვნება ჩაითვლება თუ არა ისევ მართლმადიდებლად?

-ასეთ საკითხებზე ეპისკოპოსს უნდა მიმართონ. სჯულის კანონით მართლმადიდებელ ეკლესიაში არ შეიძლება მართლმადიდებელი და სხვა აღმსარებლობის მეუღლეების ჯვრისწერა.

**- თუ ერთი მეუღლე მართლმადიდებელია, მეორე კი სხვა აღმსარებლობისა, მაგალითად, კათოლიკე და ჯვარს კათოლიკე მღვდელი სწერს, შეიძლება თუ არა მეჯვარე იყოს მართლმადიდებელი, და პირიქით, მართლმადიდებელ წყვილს თუ შეიძლება ჰყავდეს კათოლიკე მეჯვარე?**

- არცერთი ასეთი შემთხვევა არ შეიძლება. კათოლიკურ ეკლესიაში ჯვრისწერის დროს მართლმადიდებელი არ უნდა გახდეს მეჯვარედ, არც მართლმადიდებელ ეკლესიაში არ შეიძლება სხვა აღმსარებლობის მეჯვარე.

**- მამა ზურაბ, დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.**

რუბრიკას უძღვება
ნინო კვანტალიანი



მადინა კარტოზია

# ღმერთმა გისმინოთ, ბატონო პრეზიდენტო

საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდურმა ცენტრმა, როგორც იქნა, გამოსცა პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც 1999 წლით დაათარიღა.

დიახ, ასრულდა ოცნება - ათი წლის შემდეგ ძლივს შეისმინეს პედაგოგთა ვედრება და დაბეჭდეს სასკოლო პროგრამა, რომლის შესავალშიც ვკითხულობთ: „მშობლიური ლიტერატურის V-VI კლასების პროგრამა სარეფორმოა, VII-XI კლასებისა კი ე.წ. გარდამავალი პერიოდისაა და ასახავს ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ შეტანილ ცვლილებებს“. ამ ნაწყვეტთან მინდა შევადარო ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ დაბეჭდილი შენიშვნა იმის შესახებ, რომ „თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდების პროგრამას ქართულ ლიტერატურაში დაემატა მ. ჯავახიშვილის მოთხრობები „ჯილდო“ და „მიწის ყვავილი“ („ბურჯი ეროვნებისა“, 5-6, 1999 წ.) დიდი ხნის ძებნის შემდეგ სასკოლო პროგრამაში მოთხრობას „მიწის ყვავილს“ კი წავაწყდი კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურათა ნუსხაში, მაგრამ „ჯილდო“ ვერსად ვიპოვე.

მისაღებ გამოცდაზე მისულ აბიტურიენტს, რომელსაც სასკოლო პროგრამის მიხედვით „ჯაყოს ხიზნები“ აქვს გავლილი, როგორ შეიძლება „ჯილდო“ და „მიწის ყვავილი“ გამოჰკითხო? გამომცდელმა რა ჰქნას? როგორ მოიქცეს? რატომ გვიჩენს განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი ასეთ თავსატეხს? განა არ შეიძლებოდა, რომ ეს საკითხი მოგვარებულიყო? ალბათ შეიძლებოდა, მაგრამ...

ბევრი მსგავსი შენიშვნის თუ შეცდომის ჩამოთვლა შეიძლება. მაგ. ვაჟა-ფშაველას „მხეცდართა ძველი სიმღერა“ კლასგარეშე საკითხავ ნაწარმოებთა ნუსხაშია, საერთოდ არ არის ნახსენები მისი ლექსი „სიმღერა“ („არც რა ტანთ მცმია“) (VII კლასის პროგრამაში არის ვაჟას ლექსი „სიმღერა“ („დამსეტყვეცით“), მაგრამ არა ის, რომელიც მისაღები გამოცდების პროგრამაშია) ვერსად ვიპოვე ილიას ლექსიც „მას აქეთ რაკი“, ვაჟას „ხმელი წიფელი“. ამ შენიშვნების თუ ხარვეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მთავარი ეს არ არის. რამდენი წელია განათლების რეფორმა მიმდინარეობს და ვერა და ვერ მოხერხდა სასკოლო და მისაღები გამოცდების პროგრამის შეჯერება. კანონიერად იბმის კითხვა ვის ან რას ეწირება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლებში?

-განათლების სისტემა... ეს არის სფერო, სადაც დაუშვებელია გაუმართლებელი აჩქარება“, - ბრძანა საქართველოს პრეზიდენტმა. მინდა დავეთანხმო მის იმედიან ნათქვამსაც „საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ერთ-ერთი საუკეთესო გახდება ცივილიზებულ ერთა შორის („საქართველოს რესპუბლიკა“ №215, 1997 წ. 2 სექტემბერი).

ღმერთმა გისმინოთ, ბატონო პრეზიდენტო!

**რედაქციისაგან: ამ საკითხს ჟურნალის მომდევნო ნომერში დავუბრუნდებით.**

თამარ ჭუმბურიძე

# იულიუს ასფალგი - 80



ცნობილ გერმანელ ქართველოლოგსა და აღმოსავლეთმცოდნეს იულიუს ასფალგს ახლახანს 80 წელი შეუსრულდა. ამ საბაბით და მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით ბუნებრივად ჩნდება სურვილი - აღვნიშნოთ მეცნიერის დამსახურება ქართული მწერლობისა და კულტურის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში და მადლობა ვუთხრათ მის გაწეულ ამაგისათვის.

რამდენიმე სიტყვით შევახსენებთ ქართული კულტურის მოამაგე მკვლევრის ბიოგრაფიას. იულიუს ასფალგი დაიბადა 1919 წლის 6 ნოემბერს აშაუში, ზემო ბავარიაში. ტრაუნშტაინის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1938-40 წლებში, სწავლობდა ფილოსოფიასა და თეოლოგიას ფრაიზინგსა და აიხშტეტში. სამხედრო სამსახურში გაწვევამ და ტყვედ ყოფნამ ხელი შეუშალა დროულად დაესრულებინა სწავლის კურსი. სწავლის გაგრძელება მხოლოდ 1946 წლიდან შეძლო მიუნხენის უნივერსიტეტში, სადაც არაბული და სირიული კულტურით იყო დაინტერესებული; თეოლოგიის პარალელურად ლიდ ძრის უმსბლა აღმოსავლურ ენებს, 1948 წლიდან კი მთლიანად აღმოსავლეთმცოდნეობაზე გადავიდა. მისი მასწავლებლები იყვნენ ორიენტალისტები: ანტონ სპიტალერი და ვილჰელმ ჰენერბახი.

1950 წელს ნაშრომისათვის „მღვდელ-მონაზვნობის წესი, კოპტური ვერსიის ძველი ლიტურგიული ცნობანი" მიენიჭა ფილოლოგიის მაგისტრის წოდება, 1961 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ძველი ქართული თარგმანები ამოს, მიქა, იონა, სოფონია და ზაქარია წინასწარმეტყველებისა".

1966 წელს იულიუს ასფალგი მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. მუშაობდა ამავე უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა ქრისტიანული აღმოსავლეთის კათედრას, ასევე - ქრისტიანული აღმოსავლეთის შემსწავლელ სექციას გერმანიის საზოგადოებაში. იგი იყო ხელმძღვანელი აღმოსავლური ქრისტიანული მწერლობის კორპუსის (Corpus Siriptorym Christianorum Orientalis) არაბული სექციისა. 1985 წლიდან ი. ასფალგი პენსიაზეა, მაგრამ კვლავ განაგრძობს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. სტუდენტები და ასპირანტები ძალიან ემადლიერებიან მას და დიდად აფასებენ მის მეცნიერულ ხელმძღვანელობასა და კონსულტაციებს.

იულიუს ასფალგი მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობით მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსთან და ქართულ კულტურასთან. იგი იკვლევდა ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას (სომხურთან და სირიულთან ერთად). გამოსცა გერმანიაში დაცული ქართული, სომხური და სირიული ხელნაწერების კატალოგები (ვისბადენი, 1962, 1963). პირველმა გამოაქვეყნა ცნობები ლაიფციგში დაცული 5 ქართული ხელნაწერის შესახებ, რომელთაგან 4 კ. ტიშენდორფის კოლექციაში სომხურად იყო მიჩნეული, სინაიდან და იერუსალიმიდან კ. ტიშენდორფის მიერ ჩამოტანილი ეს ხელნაწერები ადრე უნახავს და მოკლედ განუხილავს გრიგოლ ფერაძეს, მაგრამ მას არ დასცალდა მათი მუშაობის გაგრძელება.

ი. ასფალგმა ჩეხ ენათმეცნიერ იარომირ იედლიჩკასთან ერთად შეისწავლა და გამოაქვეყნა იაკობის ჟამისწირვის ძველი ქართული ტექსტის ფრაგმენტი, რომელიც პრაღაში აღმოჩნდა დაცული. ამ ფრაგმენტს ი. იედლიჩკამ მიაკვლია. შემდეგ კი ჩეხმა მეცნიერმა და ი. ასფალგმა ერთად უძღვნეს მას საგანგებო გამოკვლევა, რომელიც დაიბეჭდა „Archiv Orientali"-ს ფურცლებზე (№29, 1961, გვ. 183-196).

ი. ასფალგმა რ. ზვოლანეკთან ერთად გამოსცა ძველი ქართული ენის მოკლე გრამატიკა (ფრაიბურგ-გოტინგენი, 1971). კრიუგერთან ერთად გამოსცა ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონი (ვისბადენი, 1975), სადაც სათანადოდ არის წარმოდგენილი საქართველო, მისი ენა, ლიტერატურა და ქრისტიანული კულტურა. ამავე თემატიკაზე ი. ასფალგის მრავალი სტატია შესულია გერმანულ ენაზე გამოცემულ სხვა ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში, როგორიცაა, მაგალითად, შუა საუკუნეთა ლექსიკონი, თეოლოგიური რეალენციკლოპედია, მსოფლიო ლიტერატურის ლექსიკონი და სხვა.

ი. ასფალგს ეკუთვნის საყურადღებო და საყრადღებო რეცენზიები ცალკეულ ქართველოლოგიურ ნაშრომებზე, როგორიცაა ქართული ხელნაწერების აღწერილობანი, გამოცემული ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ, ამავე ინსტიტუტის ყოველწლიური ორგანო „მრავალთავი", ჰიპოლიტეს თარგმანების გამოცემა ა. შანიძის, ა. მარტიროსოვისა და ი. ჯიშიაშვილის რედაქციით, ათანასე ალექსანდრიელის „წმიდა ანტონის ცხოვრების" ვ. იმნაიშვილისეული გამოცემა, გ. მიქაძის „ძველი ქართული ლიტერატურის შესახებ არსებული ნაშრომების ბიბლიოგრაფია", კ. ჩხენკელის „ქართული ენის შესავალი" და „ქართულ-გერმანული ლექსიკონი", ი. მოლიტორის „სახარების ტექსტის ლათინურ-ქართულ-ბერძნული ლექსიკონი", გ. დეეტერსისა და ე. ჰონიგმანის ქართველოლოგიური ნაშრომები და მრავალი სხვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ი. ასფალგის როლი გერმანულ ენაზე „ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორიის" შექმნის საქმეში. ეს წიგნი, როგორც ცნობილია, დაწერილია ძირითადად კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის" I ტომის საფუძველზე, უცხოეთში მცხოვრები ცნობილი ქართველი მეცნიერის მიქელ თარხნიშვილის მიერ, რომელსაც ქმედით დახმარებას უწევდა იულიუს ასფალგი. ი. ასფალგის კალამს ეკუთვნის ამ წიგნის შესავალი წერილიც, სადაც ხაზგასმულია, რომ ეს არის პირველი ცდა გერმანულ ენაზე ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორიის გადმოცემისა გამოწვლილვით და მეცნიერული მეთოდების შესაბამისი ფორმით. ნაშრომი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიჩნიოთ თარგმანად. ის უფრო თავისუფალი გადამუშავებაა,- წერს ი. ასფალგი და იქვე ჩამოთვლის იმ ნაწილებს, რომლებიც მ.

თარხნიშვილის „ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორია" განსხვავდება კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისაგან".

აღნიშნული წიგნის გამოცემას გერმანულ ენაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული მწერლობის საერთაშორისო სარბიელზე გატანისათვის. თითქმის უკვე ნახევარი საუკუნე გავიდა ამ წიგნის გამოცემიდან და ის დღესაც ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობარი ნაშრომია ამ სფეროში მომუშავე უცხოელი ქართველოლოგებისა და ორიენტალისტებისათვის. ი. ასფალგს ამ ნაშრომის შექმნაში თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის.

აღნიშნულ ნაშრომზე ერთობლივმა მუშაობამ საფუძველი ჩაუყარა ქართველი და გერმანელი მეცნიერების გულთბილ, მეგობრულ ურთიერთობას. როცა მ. თარხნიშვილი უკურნებელმა სენმა ლოგინს მიაჯაჭვა, ი. ასფალგი საგანგებოდ ჩავიდა რომში მის სანახავად. მეგობრის გარდაცვალებას ი. ასფალგი გულთბილი ნეკროლოგით გამოეხმაურა. მანვე შეადგინა ქართველი მეცნიერის შრომების ბიბლიოგრაფია, რომელიც „ბედი ქართლისას" ფურცლებზე გამოქვეყნდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ი. ასფალგი ჟურნალ „ბედი ქართლისას" აქტიური თანამშრომელი იყო, მის ფურცლებზე გამოქვეყნებული აქვს არაერთი გამოკვლევა, რეცენზია, მიმოხილვა. ფრანგული სერიის დაარსებიდანვე ის იყო უცვლელი წევრი ამ ჟურნალის სარედაქციო საბჭოსი. გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა „ბედი ქართლისას" რედაქტორთან - კალისტრატე სალიასთან. მჭიდრო ურთიერთობა და ხშირი მიმოწერა ჰქონდა და აქვს ი. ასფალგს საქართველოში მცხოვრებ მეცნიერებთანაც, განსაკუთრებით - აკაკი შანიძესთან, ივანე იმნაიშვილთან, ილია აბულაძესთან, მოგვიანო ხანებში - ელენე მეტრეველთან, ზაზა ალექსიძესთან, ვახტანგ იმნაიშვილთან და სხვებთან. ის აწვდიდა ქართველ კოლეგებს გერმანულენოვან ლიტერატურას და სამაგიეროდ იღებდა მათგან ქართულ გამოცემებს. ხელნაწერთა ინსტიტუტი წლების განმავლობაში ღებულობდა ასფალგის მიერ გამოწერილ ჟურნალს „Maltechnik", სადაც ხელნაწერების მკურნალ-რესტავრატორთათვის საინტერესო და პრაქტიკულად ძალზე საჭირო ბევრი მასალა იბეჭდება.



ი. ასფალგი ხშირი იყო საქართველოში: პირველად მეცნიერი ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში 1960 წელს, მოსკოვში აღმოსავლეთმცოდნეთა კონგრესზე ყოფნის შემდეგ. მაშინ მასთან ერთად იყო ცნობილი ქართველოლოგი, იმ დროს ახალგაზრდა ენათმეცნიერი კარლ ჰორსტ შმიდტი. ი. ასფალგის მეორე სტუმრობა უკავშირდება შოთა რუსთაველის იუბილეს 1966 წელს; მესამედ კი იგი საქართველოში ჩამოვიდა აკაკი შანიძის დაბადების 90 წლისთავზე 1977 წელს. ამჯერად მასთან ერთად იყო გერმანელი მეცნიერი ქალი ფ. ლილიენფელდი. სამივეჯერ საქართველოში სტუმრობამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მას, რაც კარგად ჩანს მის პირად წერილებში ა. შანიძისა და ი. იმნაიშვილისადმი.

პირადად მე იულიუს ასფალგის სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართ საგანგებო ინტერესი აღმიძრა მიქელ თარხნიშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის შესწავლასთან დაკავშირებით. დროდადრო მიხდებოდა მისი ცნობილი ნაშრომების ანოტირება ან თარგმნა. ვთარგმნიდი, აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტიდან მისთვის ოფიციალურად გაგზავნილ ან მისგან მიღებულ წერილებს. ამის შემდეგ ჩვენთვის, ბუნებრივია, ძალიან სასიამოვნო იყო, როცა ბატონ იულიუსის პირადად გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცა.

ეს მოხდა ამ რამდენიმე წლის წინათ გერმანიაში ყოფნისას, როცა მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორმა, ცნობილმა ქართველოლოგმა მიშელ ვან ესბრუკმა შემომთავაზა, მოვენახულებინა მისი მასწავლებელი და უფროსი კოლეგა ბატონი ასფალგი მის მშობლიურ აშაუში. მეც სიამოვნებით დავთანხმდი. პირველი შთაბეჭდილება გაოცება და აღტაცება იყო, როცა საკმაოდ ხანდაზმული მეცნიერი ველოსიპედით შემოგვეგება. საკუთარი ხელით ჩვენთვის ნამცხვრები მოგვიტანა და ყავით გაგვიმასპინძლდა. შემდეგ აშაუ და მისი მიდამოები დაგვათვალიერებინა. გზადაგზა სულ საქართველოში ყოფნას, ქართველ ნაცნობებს იგონებდა და მათთან ურთიერთობის დეტალებს გვიამბობდა. დიდი პატივისცემით იხსენიებდა მიქელ თარხნიშვილს და მასთან თანამშრომლობას. გაიხსენა საქართველოში მოგზაურობა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით და ზოგი მაშინდელი კურიოზიც გვიამბო. მაშინ გერმანიიდან ორი დელეგაცია იყო - აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიისა. აღმოსავლეთ გერმანიის (გდრ) დელეგაციას ხელმძღვანელობდა პროფესორი კურტ მეკლერი, სახელად იულიუსი. ის იულიუს I იყო, მე კი მისგან განსხვავებით იულიუს II-ს მეძახდნენ. იულიუს I სულ უკმაყოფილო იყო, ჩვენ რომ მეტ ყურადღებას გვიჩენდნენ და უფრო შინაურულად გვექცეოდნენ მასპინძლები," - სიცილით ამბობდა ბატონი იულიუსი.

შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შევხვდი ბატონ ასფალგს უკვე მიუნხენში, სადაც ის შემოდგომისა და ზამთრის თვეებს ატარებს ხოლმე. ყოველთვის ძალიან გულთბილი და სასიამოვნო შეხვედრები გვქონდა. საერთოდ, სიამოვნებდა ქართველ ახალგაზრდებთან ურთიერთობა. ცდილობდა შეძლებისდაგვარად დახმარებოდა მათ რჩევა-დარიგებით, კონსულტაციებით, წიგნებით. იმხანად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნინო საყვარელიძესთან, რომელთან ერთადაც დაგვპატიჟა ჩინურ რესტორანში და გაგვაცნო თავისი ვაჟი. შემდეგში გაიცნო ლელა ალექსიძე და ანა ხარანაული.

მიუნხენიდან გამომგზავრების წინ ბატონმა იულიუსმა გადმომცა თავისი არქივის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს მიმოწერას ქართველ მეცნიერებთან - მიქელ თარხნიშვილთან, აკაკი შანიძესთან, ივანე იმნაიშვილთან, ილია აბულაძესთან და სხვებთან. სურდა ეს ყველაფერი თქვენს ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახებოდეს. მართლაც, ეს მიმოწერა, რომელიც ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს, ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული და თავის მკვლევარს ელის.

თავისი დაბადების 80 წლისთავს ბატონი იულიუს ასფალგი მხნედ და ხალისიანად ხვდება. ვუსურვებთ ამაგდარ მეცნიერს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

# ფრთხილად, კანონი რეკლამის შესახებ ამოქმედდა!

## საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ

**მუხლი 4.**

2. რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე.

**მუხლი 24.**

1. რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს (რეკლამის დამკვეთებს, მწარმოებლებსა და გამავრცელებლებს) ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**კანონი ამოქმედდა 1998 წლის 7 მარტს**

## „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.98) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილება:

1. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

3. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას.

4. ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი.

2. მე-4 მუხლის მე-3-11 პუნქტები ჩაითვალოს შესაბამისად მე-5-13 პუნქტებად.

II. უკვე განთავსებული რეკლამები ამ კანონთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი 1999 წლის 31 დეკემბრამდე.

**III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

*საქართველოს პრეზიდენტი*
ედუარდ შევარდნაძე

*თბილისი,*
*1999 წლის 22 ივნისი. №2135-IIს*



# სწორია: მადლობა გადაუხადა, ბოდიში მოუხადა... მამასისხლად იყიდება, დანასისხლად გადაეკიდა...

ქართულში სხვა ენათა მსგავსად არსებობს სხვადასხვა სახის მყარი გამოთქმა. დღეს ჩვენ რამდენიმე ასეთ სიტყვათშეხამებაზე ვისაუბრებთ. მხედველობაში გვაქვს საკმაოდ გავრცელებული მყარი გამოთქმები: **მადლობა გადაუხადა, ბოდიში მოუხადა, მამასისხლად იყიდება და დანასისხლად გადაეკიდა.**

პირველი ორი გამოთქმის ზმნები, მართალია, ახლანდელ დროში ერთმანეთს ემთხვევა (მადლობას უხდის და ბოდიშს უხდის), სამაგიეროდ მომავალსა და წარსულ დროებში განსხვავებას იწვევს ორი სხვადასხვა ზმნისწინის დართვა (მადლობას გადაუხადა, გადაუხდის და ბოდიში (ს) მოუხადა, მოუხდის). თითოეულს ამ ზმნათაგან (გადახდა-მოხდა) თავისი განსაზღვრული კონტექსტი აქვს და მათი აღრევა არ შეიძლება. მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირად შეცდომით ამბობენ: „მადლობა მოვუხადე“, „მინდა მადლობა მოვუხადო“. ეს აღრევა „ბოდიში მოვუხადე“ სიტყვათშეხამების ანალოგიით ხდება. ვერ გამოვრიცხავთ ასევე გამოთქმის „მადლობა მოვახსენე“ გავლენასაც. ჩვენ კი უნდა გავითვალისწინოთ მყარი ენობრივი ტრადიციები და ვიხმაროთ სწორი, კარგა ხნის წინ დამკვიდრებული ფორმები: **„მადლობა გადავუხადე“** მაგრამ **„ბოდიში მოვუხადე“.**

იგივე შეიძლება ითქვას სიტყვათშეხამებებზე: „მამასისხლად იყიდება“ და „დანასისხლად გადაეკიდა“. პირველი გამოთქმა ძვირიან საგანზე ითქმის, რომელსაც მამის სისხლის, ანუ ძალიან დიდი ფასი ადევს. რაც შეეხება „დანასისხლად გადაკიდებას“, ამ გამოთქმას იმ პირების მიმართ ხმარობენ, რომლებიც ერთმანეთს ისე არიან წაკიდებულნი, რომ ლამისაა მათ შორის იარაღი ჩაღდეს და სისხლი დაიღვაროს. ხშირად ამ ორი გამოთქმის ზმნებს ერთმანეთში ურევენ და შეცდომით ამბობენ „მამასისხლად გადაეკიდა“. სწორი სიტყვათშეხამება კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ იქნება: **მამასისხლად იყიდება“**, მაგრამ **„დანასისხლად გადაეკიდა“.**

*რუბრიკას უძღვება*
ნინო ჯორბენაძე

ქეთევან რეხვიაშვილი

# ახალი სიტყვა ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების საქმეში




ქართული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბება საკმაოდ რთული საქმეა. ამის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ახალი, თანამედროვე მეცნიერული დონის შესაფერისი სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათიების არსებობა ყველა რანგში. ამიტომაც თითოეული კარგად დაწერილი სახელმძღვანელო და სწორად შედგენილი ქრესტომათია დიდი შენაძენია ჩვენი სკოლისათვის და მთელი საზოგადოებისათვის.

„იდეოლოგიური წნეხის პირობებში განსაკუთრებული საფრთხე ძველი ქართული მწერლობის სწავლებას დაემუქრა თავისი რელიგიური შინაარსის გამო",- ვკითხულობთ ახლახან გამოცემული **ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის** შესავალში.

წიგნის შემდგენლები არიან: **მ. გოგინეიშვილი, ლ. გრიგოლაშვილი და ვ. როდონაია.** გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქრესტომათია მართლაც მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული სკოლისათვის, ჩვენი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, რადგან ძველი ქართული ლიტერატურის სწავლება სკოლაში თავისი სიღრმისა და სპეციფიურობის გამო, ყველაზე რთული და ამავე დროს მნიშვნელოვანი ეტაპია მოსწავლეთათვის. სასულიერო მწერლობის, „ვეფხისტყაოსნისა" თუ „დავითიანის" აღქმა და გააზრება საკმაოდ რთული პროცესია და თუ ამ დროს მოსწავლეებს არ მიეცათ სწორი მიმართულება, ძალიან გაძნელდება ამ ლიტერატურის შესწავლა და, რაც მთავარია, შეყვარება.

როგორც თავად წიგნის ავტორები აღნიშნავენ, ამ იდეოლოგიური წნეხის გამოც, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობდა დიდი ხნის მანძილზე, არასწორად ისწავლებოდა არა მარტო სასულიერო მწერლობის, არამედ საერო მწერლობის ბევრი ნიმუში. ახალი ქრესტომათია არის პირველი მცდელობა იმისა, რომ ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა სკოლაში მართებული მეთოდოლოგიით, საინტერესოდ და თანამედროვე მეცნიერული დონის გათვალისწინებით წარიმართოს. აქვე დავძენთ, რომ ეს არის ნამდვილად წარმატებული ცდა აღნიშნულ საქმეში.

ახალი ქრესტომათიის ღირსებად მიგვაჩნია, რომ ძველისაგან განსხვავებით, ის იწყება აგიოგრაფიული თხზულებით „ცხოვრებაი წმიდისა ნინოისი". საწმუხაროდ, ჩვენი სკოლის არც ძველი პროგრამა და არც ძველი ქრესტომათია არ ითვალისწინებდა „წმ. ნინოს ცხოვრების" შესწავლას. აუცილებელი იყო, ამ ნაკლის გამოსწორება, ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის დაწყება არა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებით", არამედ „წმ. ნინოს ცხოვრებით". ამიტომაც ეს ცვლილება ახალ ქრესტომათიაში მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია და ძალიან გვახარებს. ქრისტიანობის გავრცელება და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება საქართველოში (რაზეც ძალიან საინტერესოდ და მაღალმხატვრულად მოგვითხრობს „წმ. ნინოს ცხოვრება") საფუძველს უყრის საერთოდ ქართული ქრისტიანული კულტურისა და სასულიერო მწერლობის წარმოშობასა და განვითარებას. ნაწარმოების შესწავლით მოსწავლეთათვის ადვილი ხდება იმ სამყაროში შესვლა, რომელსაც ქართული სასულიერო მწერლობა გადაშლის მათ წინაშე. ამას გარდა, ბოლოდროინდელი მეცნიერული გამოკვლევების თანახმად, „ნინოს ცხოვრების" პირველი ვარიანტი ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული ნაწარმოები უნდა იყოს. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ სწორედ „ნინოს ცხოვრების" შესწავლის შემდეგ ხდება ბავშვისათვის ნათელი, რა დიდი განძის პატრონია საქართველო ქრისტეს კვართის სახით და რომ ამ უდიდეს სიწმინდეზეა სწორედ აგებული „სვეტიცხოველი". ამ ნაწარმოებიდან იგებს მოსწავლე იმასაც, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანაა და რომ სწორედ მან გამოგზავნა წმ. ნინო საქართველოში ვაზის ჯვრით ქრისტიანობის საქადაგებლად.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ეს ნაწარმოები საბოლოოდ დამკვიდრდეს არა მარტო სკოლის, არამედ მისაღები გამოცდების პროგრამაშიც.

ქრესტომათიაში კიდევ ერთი სიახლეა აგიოგრაფიის შესწავლის თვალსაზრისით. წიგნში შევიდა გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი". ჩვენ სწორად მიგვაჩნია ავტორთა გადაწყვეტილება, ქართველი მოსწავლეები იზიარონ ჩვენი დიდი წინაპრების, ათონელი მამების, ცხოვრების წესს. ნაწარმოების მხატვრული ღირსება და იდეური სიმაღლე საჭიროებს ხდის მის ჩართვას საპროგრამო მასალაში. ამ ტექსტის შესწავლით საშუალება გვეძლევა, მეტი სიღრმით დავანახოთ მოსწავლეებს ქართული აგიოგრაფიის განვითარების გზა.

ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლა თითოეულ მოსწავლეს უღვივებს ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ და ეროვნულ გრძნობებს, სრულყოფილებისაკენ სწრაფვის სურვილს აღუძრავს მათ, ღრმად ჩაახედებს მშობლიური ენის წიაღში. ამიტომაც, მართებულად მიგვაჩნია მოსწავლეთათვის კიდევ ერთი საინტერესო აგიოგრაფიული ნაწარმოების მიწოდება სასკოლო ქრესტომათიის საშუალებით.

განსახილველ წიგნში, რა თქმა უნდა, წარმოდგენილია სასკოლო პროგრამაში ტრადიციულად გათვალისწინებული აგიოგრაფიული ნაწარმოებებიც: „შუშანიკის წამება“, „აბოს წამება“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

ყველა აგიოგრაფიული თხზულება მეტ-ნაკლებად შემოკლებულია, მაგრამ ისე, რომ არ არის დარღვეული მათი კომპოზიციური, ესთეტიკური და შემეცნებით ფასეულობათა მთლიანობა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყოდით ძველი ქრესტომათიის შესახებ.

„აბოს წამების“ პირველი და მეოთხე თავების სრულად შეტანა სასკოლო ქრესტომათიაში აუცილებელი ნამდვილად არ არის, მაგრამ იქნებ ჯობდა ტექსტს დართოდა სამუელ კათალიკოსისა და იოანე საბანის ძის წერილები, საიდანაც მოსწავლეები საინტერესო ინფორმაციას იღებენ ნაწარმოების ავტორის შესახებ. „ჰბაძევდ ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა“, - იოანე საბანის ძის მიერ წარმოთქმული სოლომონ ბრძენის ეს სიტყვები მწერლის მრავალ ღირსებაზე მეტყველებს, ამიტომაც კარგი იქნებოდა, ქრესტომათიაში ამ წერილების შეტანაც.

თავისი სირთულის, სიღრმისა და სპეციფიკურობის გამო განსაკუთრებით ძნელია მოსწავლეთათვის სასულიერო პოეზიის ანუ ჰიმნოგრაფიის ნიმუშების შესწავლა და აღქმა. ახალი ქრესტომათია ამ მხრივაც მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს. მასში შესულია ნაწყვეტები დავითის „ფსალმუნებიდან“, ქართველ ჰიმნოგრაფთა ქმნილებათაგან წარმოდგენას შეუქმნის მოსწავლეებს ძველი ქართული ლიტერატურის ამ ჟანრის შესახებ და მოამზადებს მათ საერო ქართული პოეზიის უკეთ აღქმისა და გაგებისათვის.

აქვე დავძენთ, რომ სასურველად მიგვაჩნია, ქრესტომათიაში შესულიყო ქართული პოეზიის ერთი საინტერესო ნიმუში- იოანე ზოსიმეს- „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

წიგნში შესული აგიოგრაფიული თუ ჰიმნოგრაფიული ძეგლების შესწავლის შემდეგ მოსწავლეთათვის შესაძლებელი ხდება ქართული სასულიერო მწერლობის განვითარების ერთიანი გზის აღქმა და იმ დიდი მნიშვნელობის კარგად დანახვა, რომელიც ამ მწერლობამ შეასრულა საქართველოს, როგორც ერთიანი ეროვნული წარმონაქმნის ჩამოყალიბებაში. ასევე საშუალება გვეძლევა, მოსწავლეებს ვესაუბროთ ქართული მესიანისტური იდეის შესახებ, რომელიც სწორედ ქართულმა სასულიერო მწერლობამ შექმნა. ამ საკითხზე საუბრით კი მოსწავლეთათვის ადვილად გასაგები ხდება, როგორ შეძლეს ქართველებმა ბიზანტიის კულტურული გავლენის დაძლევა და თვითმყოფადი ქართული მწერლობის შექმნა და უმაღლეს საფეხურზე აყვანა, როგორ მოამზადა ქართულმა მწერლობამ პირობები „ვეფხისტყაოსნის“ შესაქმნელად და, საზოგადოდ, იმ კულტურული ვითარების მისაღწევად, რომელსაც მეცნიერები „აღმოსავლურ რენესანსს“ უწოდებენ.

ქრესტომათიაში შეტანილია მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ნაწილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“. ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარია, რისთვის იყო საჭირო ამ ნაწყვეტების ჩართვა წიგნში, მაგრამ, როგორც თავად ავტორები აღნიშნავენ შესავალ წერილში, ეს მხოლოდ იმისათვის გაკეთდა, რომ ქრესტომათიაში წარმოჩენილიყო ქართული ლიტერატურის განვითარების უწყვეტი ხაზი, თავად პოემა კი, რა თქმა უნდა, სრულად ისწავლება და ჩვენ გვაქვს კიდეც „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა. მხოლოდ ერთს ვიტყვით აქვე, რომ კომენტარები ქრესტომათიაში წარმოდგენილი ნაწყვეტებისა ახლებური და მეტად საინტერესოა. ასე რომ, რუსთველის პოემასთან დაკავშირებით მრავალი დამატებითი და ახალი ინფორმაცია მიეწოდებათ მოსწავლეებს.

განსახილველ წიგნში თავისი კუთვნილი ადგილი ეთმობა სულხან-საბა ორბელიანის წიგნს „სიბრძნე სიცრუისა“. ნაწარმოები მოწოდებულია მცირე შემოკლებით, მაგრამ აქაც შენარჩუნებულია თხზულების კომპოზიციური და იდეური მთლიანობა. ნაწარმოები აღიქმება არა როგორც იგავ-არაკების უბრალო კრებული (როგორც წინა ქრესტომათიის შემთხვევაში), არამედ ერთიანი სიუჟეტის მქონე თხზულება, რომელშიც გამოყენებულია იგავარაკული ჟანრი პერსონაჟთა პაექრობისათვის.

წიგნის ავტორები კიდევ ერთ სიახლეს გვთავაზობენ. სახელმძღვანელოში შესულია რამდენიმე ნაწყვეტი სულხან-საბას „სწავლანიდან“. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქრესტომათიაში ლექსიკურ განმარტებებში ხშირად გამოყენებულია „სიტყვის კონა“. ასე რომ, ამ წიგნის მიხედვით უფრო სრულად და საინტერესოდ წარმოჩინდება მოსწავლეთა წინაშე სულხან-საბა ორბელიანი, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ქრესტომათიის ბოლო გვერდები ეთმობა დავით გურამიშვილის „დავითიანს“. ყველაზე მეტად განვლილმა საბჭოთა პერიოდმა, ალბათ, დავით გურამიშვილის შემოქმედების სწორად ახსნა და გააზრება გაართულა, მისი პოეზიის ღრმად რელიგიურობის გამო. ძველი ქრესტომათიით მოწოდებული „დავითიანი“ ოდნავღა თუ მიაგავდა თავის ნამდვილ სახეს. „დავითიანი“ შემოკლებულია ახალ ქრესტომათიაშიც, მაგრამ არა ისე, როგორც ძველად. „ქართლის ჭირის“ აღმწერლისა და დიდაქტიკოსის გარდა გურამიშვილის შემოქმედებაში ადგილი აღარაფრისთვის რჩებოდა, არადა მისი „დავითიანი“ რელიგიურად განწყობილი ლირიკოსის ამაღლებული პოეზიაა, რომელიც ღრმა იდეური და კომპოზიციური მთლიანობით ხასიათდება. ახალმა ქრესტომათიამ საშუალება მოგვცა, მოსწავლეებს დავანახოთ დავით გურამიშვილის, როგორც პოეტისა და შემოქმედის ნამდვილი, ჭეშმარიტი სახე.

განსახილველ წიგნში არ არის წარმოდგენილი ძველი ქართული ლიტერატურის სხვა წარმომადგენელთა ნაწარმოებები. ქრესტომათიის შემდგენლები მათ შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას გვპირდებიან ძველი ქართული

ლიტერატურის სახელმძღვანელოს საშუალებით, რომლის დაწერასაც აპირებენ უახლოეს მომავალში. ჩვენ ვეთანხმებით საკითხისადმი ასეთ მიდგომას, რადგან მოსწავლეთა გადატვირთვას გამოიწვევს ყველა მწერლის ჩართვა პროგრამაში, თუმცა გარკვეული წარმოდგენის შექმნა მათზე სახელმძღვანელოს საშუალებით საჭირო და სასურველია.

ჩვენ აქამდე ვსაუბრობდით ქრესტომათიის შედგენის თავისებურებაზე, მასში მასალის შერჩევისა და მოწოდების თაობაზე, აღვნიშნეთ, რომ ამ მხრივ წიგნი მრავალ სიახლეს შეიცავს. ახლა კი გვინდა ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ როგორ არის ახსნილი და განმარტებული მოწოდებული მასალა. თითოეული ნაწარმოები განმარტებულია თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით, მართებული მეთოდოლოგიითა და საინტერესო და კარგი ქართულით. ვფიქრობთ, სწორედ ეს არის ქრესტომათიის უმთავრესი ღირსება. ტექსტის ასეთი სახით მოწოდება ბევრად უადვილებს მოსწავლეებს ნაწარმოების აღქმასა და სწორად გააზრებას, მეტ საშუალებას აძლევს მათ დამოუკიდებელი მუშაობისათვის. როგორც აღვნიშნეთ, ლექსიკური განმარტებების დროს ავტორები ხშირად მიმართავენ სულხან-საბას „სიტყვის კონას", ამასთან ერთად მათ შემოგვთავაზეს ვახტანგ VI-ის რამდენიმე კომენტარი; ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოს უკეთ გასაგებად განმარტებულია ყველა ისტორიული პირი, გეოგრაფიული ადგილი, თუ რომელიმე ქრონოგრაფიული ტრადიცია. ზოგჯერ ეს განმარტებები აღებულია დიდი ქართველი სწავლულის ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებიდან „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". მისასალმებელია ეს ფაქტიც, რადგან ამით მოსწავლეები ეცნობიან ჩვენი ღირსეული მოაზროვნეების მემკვიდრეობას და ახლობელი ხდება მათთვის ეს სახელებიც. განმარტებები ასევე მეტად საინტერესო და დასაბუთებულ ინფორმაციას გვაწვდის წმინდანების, სხვადასხვა ქრისტიანი მოღვაწეებისა თუ სხვა ბიბლიური საკითხების შესახებაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი ქართული ლიტერატურის სწავლება სკოლაში განსაკუთრებულ სიძნელეებს უკავშირდება. ამიტომაც მეტად საჭირო შენაძენად მიგვაჩნია ახალი ქრესტომათია. მიგვაჩნია, რომ წიგნი ახალ ეტაპს ქმნის ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების საქმეში. ამ წიგნის გამოცემით, როგორც იქნა, დაიძრა კარგა ხნის მანძილზე ერთ ადგილას გაჩერებული საქმე და იმედია, იგი კვლავაც გაგრძელდება, მეტი ყურადღება დაეთმობა საერთოდ ქართული ლიტერატურის და განსაკუთრებით კი ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეს. ამ მხრივ ძალიან ბევრი და სერიოზული პრობლემა არსებობს სკოლაში. არასაკმარისია სწავლისათვის გამოყოფილი საათები, დასახვეწია სწავლების ფორმები და სხვა.

აქვე დავძენთ იმასაც, რომ ქრესტომათია გაფორმებულია საინტერესოდ, სასიამოვნოა მისი დიზაინი, დასტამბულია ხარისხიან ქაღალდზე. ასე რომ, მოსწავლეებს ესთეტიკურად სრულყოფილი სახელმძღვანელო ექნებათ, ეს კი თავის მხრივ განაპირობებს მათ მიერ წიგნისადმი მეტ მოწიწებასა და სიყვარულს.

გვინდა დიდი მადლობა ვუთხრათ წიგნის შემდგენლებს იმისათვის, რომ აწუხებთ ქართული სკოლისა და მომავალი თაობის ბედი და ზრუნავენ მათზე. აქვე მასწავლებლების სახელით მადლობას ვუხდით მათაც, ვინც გაითვალისწინა ჩვენი მდგომარეობა და მეცხრე კლასის ყველა მასწავლებელს უფასოდ მისცა ეს საჭირო წიგნი.

თუკი მომავლაშიც გაგრძელდება მსგავსი ზრუნვა, იმედია ახლო მომავალში ქართული ეროვნული სკოლის შექმნა რეალობად იქცევა და არ დარჩება მხოლოდ ლამაზ ოცნებად.

## ჩვენი ენა ქართული

# სწორია: ახლა, ახლავე, ასეთი...

ძალიან ხშირად ჩვენ გვაქვს ერთი და იმავე სიტყვის ორი სხვადასხვა ვარიანტი და არ ვიცით, რომელი მათგანია სწორი. მაგალითად, გვაქვს როგორც **ახლა, ახლავე, ახლანდელი, ახლახან,** ასევე ეხლა, ეხლავე, ეხლანდელი, ეხლახან; **ასე, ასეთი, ასეთნაირი, ასევე** და ესე, ესეთი, ესეთნაირი, ესევე. ამ ორ-ორ ვარიანტს შორის განსხვავებას მხოლოდ **ა** და **ე** ბგერები ქმნიან.

იმის გარკვევაში, რომელი ფორმაა სწორი - ახლა თუ ეხლა, ამოსავალი სიტყვა დაგვეხმარება. ეს სიტყვაა **ახალი**, რომლისგანაც არის მიღებული **ახლა**, აქედან გამომდინარე, **სწორია** ფორმა **ახლა** და მისგან ნაწარმოები **ახლავე, ახლახან, ახლანდელი,** ამას **ხულახლა** ფორმის არსებობაც ადასტურებს. ხოლო არასწორი ფორმები „ეხლახან", „ეხლავე", „ეხლანდელი" უნდა უარვყოთ.

იგივე შეიძლება ითქვას ასეესე, ასეთი-ესეთი, ასეთნაირიესეთნაირი ფორმების შესახებაც. ტრადიციული ქართული გამოთქმები „ასე რომ", „ასე შემდეგ",მიგვითითებს, რომ სწორედ ა ხმოვნიანი ვარიანტია **მართებული**. ამიტომ უნდა ვთქვათ: **ასე, ასეთი, ასეთნაირი** და ა.შ.

როგორც გაირკვა, განხილული ვარიანტებიდან უნდა უარვყოთ ე- ხმოვნიანი ფორმები: ეხლა, ეხლავე, ეხლანდელი, ესე, ესეთი, ესეთნაირი და მათ ნაცვლად გამოვიყენოთ ტრადიციით განმტკიცებული **სწორი** ფორმები: **ახლა** და მისგან ნაწარმოები **ახლავე, ახლახან, ახლანდელი; ასე** და მისგან ნაწარმოები: **ასეთი, ასეთნაირი** და ა.შ.

რუბრიკას უძღვება
ნინო ჯორბენაძე



# მშვლდოსანი, რომელსა არაბულად ჰრქვან ყავს



**მეთორმეტე საუკუნის ეს ასტროლოგიური თხზულება 1975 წელს გამოსცა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ. ჟურნალის წინამდებარე ნომერში გთავაზობთ ერთ მონაკვეთს - მშვლდოსანს (24.XI-23.XII)**

მშვლდოსნისა ბურჯი მუშთარისა სახლი არს და ვეშაპისა ჰუბუტი. ცეცხლისაჲ არს და იგი ცეცხლი არს, რომელ კაცისა სტომაქსა და ასოთა შიგან საჭამადსა მოადნობს. აღმოსავლეთისაჲ არს და დღისა არს, მამალი და მხურვალი და ჴმელი არს. და კაცისა ნივთთაგან ზაფრაჲ მისი არს. და ორი ბუნებაჲ არს, ამისთჳს რომელ ნახევარი პირველი მისი სთულისაჲ და ნახევარი შემდგომი მისი ზამთრისაჲ არს. და რაჲ მზე ამას ბურჯსა ზედა მოვიდეს, გუანად აღმოჰჴდების და ადრე ჩაჰჴდების და სთულისა ბოლოჲ არს.

ესე ბურჯი კათალიკოზთა და ებისკოპოსთა და ბჭეთაჲ არს. და კაცისა ასოთაგან ბარკალნი მისნი არიან. და ქალაქთაგან ბაღდადი და ასპაჰანი, და რუსეთისა ქუეყანაჲ და იამანისა ქალაქნი და ადგილთაგან ეკლესიაჲ და მონასტრები და ბჭეთა საჯდომი, ბოსტანი და სასაგნოჲ და საასპარეზოჲ ადგილი; და ჴელისუფალთაგან მკურნალნი და უჰჳდთა ცხენთა მომწყსელნი და ცხენთა განმსყიდელნი, და ხეთაგან რაჲცა მაღალი არს, და ფერთაგან თეთრი, რომელ წითელსა ჰგვანდეს.

ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს პირშუენიერი და ცოტად პირ-გრძელი, თუალ-კეკლუცი და თეთრი თუალისაჲ ცოტად უფროჲსი შავისაგან, და წუერ-გრძელი და მკერდ-ბრტყელი, და წჳვ-გრძელი და თმამცირე ანუ ბელატი. და ჴელმწიფეთა ბუნებაჲ და სიბრძნისა მოყუარე და თავისა მოყუარე და ოქროჲს მოყუარე და ფრთხილი და კაცთა შორის პატიოსანი და პირ-ბედნიერი. და ზურგსა და მკერდსა ზედა და ფერჴსა ნიშანი იყოს და ოთხფერჴთა მოყუარე იყოს და ჴელმარჯუე იყოს.

ესე ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი ოტერიდისაჲ არს ათ დარაჯამდის, მესამე ზუჰალისაჲ არს ოცდაათ დარაჯამდის.

ვინცა ოტერიდისა ნაწილსა ზედა იშვას, კაცი იყოს შავ-გრემანი, თუალ-ჟივჟავი და ცხურგრძელი და წარბ-შეყრილი და ჴელმწიფეთა თანა შესწავლილი და მწერალი და ხუროჲ მეჭრელე და ლოცვისა საგალობელსა მცოდნელი.

და თუ მთოარისა ზედა შობილ იყოს, კაცი მოკლე იყოს და წუერ-მრგუალი, და პირშუენიერი, და წარბ-შეყრილი და მრავალ-მგზავრი ანუ მოციქული.

და თუ ზუჰალისა ნაწილსა ზედა იშვას, კაცი იყოს მჩლეასოჲ, ამპარტავანი და გულოანი და ჭაბუკი და ცნობილი და ფხიზელი და ღრმად გამგონე. და ფათერაკი სიმჴურვალისაგან და წყლისაგან შეემთხჳოს.

ვინცა მეცამეტესა და მეოცესა დარაჯასა ზედა იშვას, ბედიანი იყოს; და ბოლოჲსა დარაჯასა ზედა იშვას, უბედური და გლახაჲ იყოს. და შაბათი დღე არ აშუნდეს.

# ზაჰიდათ მაჰომედბეკოვა



1999 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში გარდაიცვალა თვალსაჩინო დაღესტნელი ენათმეცნიერ-კავკასიოლოგი ქალი, ზაიდათ მაჰომედბეკოვა (დაკრძალულია მაჰაჩყალაში). იგი დაიბადა 1920 წლის 5 იანვარს ხუნძახის რაიონის აულ ხუნძახში (დაღესტანი), მოსამსახურის ოჯახში. 1938 წელს იგი შევიდა დაღესტნის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1942 წელს. 1942-1946 წლებში მუშაობდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაღესტნის აულების - ბოთლიხისა და ვედენის საშუალო სკოლებში. 1946 წლის ოქტომბრიდან 1949 წლის ნოემბრამდე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით. 1949 წლის ნოემბერში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ახვახური ენის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები". 1950 წლის აპრილიდან 1952 წლის სექტემბრამდე იყო დაღესტნის პედინსტიტუტის პრორექტორი და ამავე დროს შეთავსებით მუშაობდა დაღესტნურ ენათა კათედრის გამგედ დაღესტნის ასსრ განათლების სამინისტროს სკოლების ინსტიტუტში. 1952 წლიდან იგი ოჯახური მდგომარეობის გამო თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. იგი გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის ტოგო გუდავას მეუღლე გახდა.

თბილისში ზ. მაჰომედბეკოვა საქმიანად ჩაება მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა-ძიებაში.

ზ. მაჰომედბეკოვა ავტორია 100-ზე მეტი ნაშრომისა, მათ შორის ორი მონოგრაფიისა: „ახვახური ენა", „კარატული ენა". ეს ორივე მონოგრაფია მნიშვნელოვანი შენაძენია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა. მისი ცალკეული გამოკვლევები კი მოიცავს დაღესტნურ, კერძოდ, ხუნძურ-ანდიურ ენათა გრამატიკის ყველა უბანს - იქნება ეს ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა თუ დიალექტოლოგიის საკვანძო საკითხები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს გამოკვლევა ემყარება სრულიად უცნობ და ახალ, უნიკალურ საილუსტრაციო მასალას, რომელიც ავტორის მიერ მრავალწლიანი საველე მუშაობის შედეგად არის მოპოვებული. ამ შრომებმა ზ. მაჰომედბეკოვას დამსახურებული ავტორიტეტი და მეცნიერული აღიარება მოუტანეს მას, როგორც მკვლევარსა და ენათმეცნიერ კავკასიოლოგს როგორც ჩვენში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ზ. მაჰომედბეკოვა სისტემატურ მონაწილეობას იღებდა ხვადასხვა სახის კავკასიოლოგიურ შეხვედრებში, სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებში, რომლებიც ტარდებოდა საქართველოსა თუ ჩრდილო კავკასიასა და რუსეთში.

ხუნძურ-ანდიური ენები იყო ზ. მაჰომედბეკოვას კვლევის ძირითადი ობიექტი. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ სწორედ მისი ოჯახური კავშირი ფრიად ბედნიერი და ნაყოფიერი აღმოჩნდა დაღესტნურ ენათა შესწავლისათვის. სწორედ ზ. მაჰომედბეკოვასა და ტ. გუდავას გამოკვლევებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს ამ ენათა შესწავლის ის მაღალი მეცნიერული დონე, რომელიც დღეს სხვა დაღესტნურ ენებთან შედარებით ხუნძურ-ანდიურ ენათა ქვეჯგუფის შესწავლის საქმეში გვაქვს, როგორც აღწერითი, ისე ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ ზ. მაჰომედბეკოვა სიცოცხლის მეორე ნახევარში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში, იგი ცხოველ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე დაღესტნის სამეცნიერო-საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში - იგი მუდმივად თვალყურს ადევნებდა მშობლიური ხუნძური სალიტერატურო ენის ფუნქციონირებასა და განვითარებას და აქტიურად მონაწილეობდა მისი ნორმატიული თუ თეორიულ-პრაქტიკული საკითხების მოგვარებასა და გადაწყვეტაში - იქნებოდა ეს სალიტერატურო ენის ნორმები, ტერმინოლოგიის უნიფიკაცია, ორთოგრაფიული საკითხები თუ ანბანის გაუმჯობესება-დახვეწა და სხვ. მშობლიურ ენაზე ზრუნვის ერთ-ერთი გამოვლინება იყო მისი მოღვაწეობა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც ის წლების მანძილზე ხუნძურენოვანი სტუდენტებისათვის კითხულობდა ლექციებს როგორც სასცენო მეტყველების კათედრის ჯერ დოცენტი, შემდეგ კი პროფესორი. ენათმეცნიერების ინსტიტუტში კი იგი სისტემატურად მუშაობდა ასპირანტებთან და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა მომზადების საქმეში. ხალისით უწევდა კონსულტაციებს დაღესტნური ენებით დაინტერესებულ პირებს საკვალიფიკაციო ნაშრომებისა და ცალკეული გამოკვლევების დამუშავების დროს. მას კონსულტაციებისათვის ხშირად მიმართავდნენ უცხოელი კოლეგებიც.

ზ. მაჰომედბეკოვა და მისი ოჯახი ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი იყო ქართველ და დაღესტნელ მეცნიერთა შორის... იგი ხელს უწყობდა მათ მეცნიერულ ურთიერთობასა და კავშირებს, რასაც ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და დღესაც ენიჭება.

გურამ თოფურია

თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზიის VII კლასის მოსწავლეები (პედაგოგი მ. ლომია) ბავშვური უშუალობითა და გულწრფელობით მსჯელობენ წუთისოფლის რაობაზე, ამ თემაზე შექმნილი ხალხური ნიმუშების მიხედვით.

# წუთისოფელი რა არი...

**ავთანდილ აბდუშელიშვილი:** წუთისოფელი. ასე უწოდებია ჩვენს წინაპარს ამქვეყნიური ცხოვრებისთვის. მართლაც, რომ წუთივით გადის ჩვენი სიცოცხლე. მოიხედავს უკან ხანში შესული კაცი და იტყვის: რა სწრაფად გაფრენილა დრო!

**რობიზონ გეთიაშვილი:** ჩვენი მამა-პაპანი წუთისოფელს აგორებულ ქვასაც ადარებდნენ და ბინდისფერადაც მოიხსენიებდნენ, რადგან ბინდივით იდუმალია იგი.

**გიორგი სოლოღაშვილი:** სიბერე ისე ჩქარა მიეპარება ადამიანს, როგორც დამშეული მგელი მსხვერპლს - „წამოგეწევა სიბერე, მგელივით წამოგვარდება".

**მორის კილასონია:** ჩვენ, ყველანი, სიკვდილის შვილები ვართ! - ესაა წუთისოფლის წესი: „რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არის!"

**გეგა ბურდიაშვილი:** იცვლებიან თაობები - ჩვენ წავალთ, სხვები მოვლენ და ასე დაუსრულებლად... თითოეულმა ადამიანმა უნდა მოასწროს საკუთარი სიტყვის თქმა ამ მოკლე წუთისოფელში.

**დავით კიკნაძე:** ადამიანს ვერ გაურკვევია, ამქვეყნიური ცხოვრების შემქმნელი ღმერთია თუ ეშმაკი, რადგან წუთისოფელში სიკეთეც ტრიალებს და ბოროტებაც.

**მირანდოლინა მეშველიანი:** სამაგიეროდ, ამ წუთისოფელში რაც მტრობას დაუნგრევია და გაუნადგურებია, ყველაფერი სიყვარულს აღუდგენია.

**გიორგი ბეკარაშვილი:** თუ გზაში უცხო ქალი შეგხვდა და დობა შემოგფიცა, გეგონება, რომ ის დაზე უკეთესი იქნება.

**ნათია კირთაძე:** როცა ადამიანებს შორის ამგვარი ურთიერთდანდობა და სიყვარულია, ცოტა ხნით მაინც გავიწყდება, რომ წუთისოფელი მუხთალი და გამწირავია.

**გიორგი შაკიაშვილი:** წუთისოფელში, სადაც გინდა მიხვიდე, სუყველგან ორი გზა არის: ხორციელი და სულიერი.

**მიხეილ ჭეჟია:** ხორციელი გზით მცხოვრები ადამიანი ღმერთს შორდება და მარადიულ სიბნელეს განუმზადებს სულს.

**ვლადიმერ გოგოლიძე:** სულიერი გზა ვიწრო და ძნელად სავალია, მაგრამ სამაგიეროდ, იგი ხსნის ერთადერთი გზაა, მართალი და უტყუარი.

**მერაბ კიპაროიძე:** წუთისოფელი ამოუცნობია. რაც მეტი პასუხი ვიცით, მით მეტი კითხვა იბადება.

* * *

პატარა თეონას ძმა სკოლაში დადის და ამიტომ თეონას ეგონა, სკოლაში მხოლოდ ბიჭები დადიან. როცა ჰკითხეს, სკოლაში როდის მიდიხარო - უპასუხა: როცა დედა თავს გადამხოტრის და ბიჭი გავხდებიო.

* * *

ერთხელ თეონას ჰკითხეს: ნელი ბებო შენ გააბრაზე და ამიტომ წავიდა სოფელში?

- არა, მე არ გამიბრაზებია, თვითონ წადის ხოლმე! - თქვა თეონამ.

(თეონა მამულაშვილი, 3 წლის).

* * *

პატარა ანრი ბიძამ სასეირნოდ წაიყვანა. ბავშვმა ხელში აყვანა მოითხოვა. ბუთხუზა ანრი ბიძამ ხელში აიყვანა და ჰკითხა:

- კი, მაგრამ, რამ დაგღალა!
- მიწამ! უპასუხა ანრიმ.

(ორწლინახევრის ანრი ჯანჯღავა)

## ინფორმაცია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P.10.02.C.№4 სადისერტაციო საბჭომ (თავმჯდომარე პროფ. გ. კვარაცხელია)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა

### ამირან ლომთაძეს

**დისერტაციის თემა:** სპირანტებისა და აფრიკატების ფონეტიკური სახეცვლილებანი ქართველურ ენებში

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. თ. უთურგაიძე

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. ნ. ქუთელია, პროფ. ი. ჩანტლაძე, პროფ. ნ. ლემონჯავა.

**წამყვანი ორგანიზაცია:** ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 30 ნოემბერს.**

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P.10.02.C.№6 სადისერტაციო საბჭომ (თავმჯდომარე აკად. თ. გამყრელიძე)

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა

### ილია ჭრელაშვილს

**დისერტაციის თემა:** სახვითი ხელოვნების ტერმინოლოგია ქართულში

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** პროფ. ა. ღლონტი

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. გ. გოგოლაშვილი

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. ზ. ჭუმბურიძე, ფილოლ. მეცნ. დოქტორი ქ. გაბუნია.

**წამყვანი ორგანიზაცია:** ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 24 ნოემბერს.**

### ნელი იოსავას

**დისერტაციის თემა:** მარი ბროსე და ქართული გრამატიკის საკითხები

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** პროფ. თ. უთურგაიძე

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. ა. ონიანი

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. ე. ბაბუნაშვილი, პროფ. ნ. კოტინოვი.

**წამყვანი ორგანიზაცია:** არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 8 დეკემბერს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ჯორბენაძის საზოგადოებამ გამოსცა

# აბიტურიენტებისა და უფროსკლასელთათვის

**ლ. გეგუჩაძე**, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1997, 52 გვ.
**ლ. გეგუჩაძე**, ქართული ენა, ნაწილი II, თბ., 1999, 96 გვ.
**იოვანე საბანის ძე**, აბოს წამება, თბ., 1997, 80 გვ.
**ა. ჭავჭავაძე**, ლექსები (განხილვითურთ), თბ. 1998, 22 გვ.
**გ. ორბელიანი**, ლექსები (განხილვითურთ), თბ. 1998, 24 გვ.
**ნ. ბარათაშვილი**, ლექსები (განხილვითურთ), თბ. 1998, 24 გვ.
**ნ. ბარათაშვილი**, ბედი ქართლისა (განხილვითურთ), თბ. 1999, 24 გვ.
**ი. ჭავჭავაძე**, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1997, 44 გვ.
**ა. წერეთელი**, ლექსები (განხილვითურთ), თბ. 1998, 60 გვ.
**ვაჟა-ფშაველა**, მოთხრობები (განხილვითურთ), თბ., 1998, 24 გვ.
**ვაჟა-ფშაველა**, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1997, 30 გვ.
**მ. ჯავახიშვილი**, ჯილდო, მიწის ყივილი (განხილვითურთ), თბ., 1999, 40 გვ.
**ნ. ლორთქიფანიძე**, თავსაფრიანი დედაკაცი, ტრაგედია უგმიროთ (განხილვითურთ), თბ., 1997, 36 გვ.
**ლ. ქიაჩელი**, ჰაკი აძბა (განხილვითურთ), თბ., 1998, 84 გვ.
**გ. ლეონიძე**, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1997, 24 გვ.

**შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (I კორპუსი, 130-ე ოთახი)**

**ბ. ჯორბენაძის საზოგადოებაში (პ. ინგოროყვას ქ. №8, 103-ე ოთახი)**


შობა-
ახალ წელს
გილოცავთ!